ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 183 (2297) | ოთხშაბათი, 11 სექტემბერი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვუპასუხებთ

შეღავათები ყველა მონაწილეზე ერთნაირად უნდა ვრცელდებოდეს



ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურში მომხდარი ავარიიდან ათ წელიწადზე მეტი გავიდა. დღემდე გაურკვეველი შეღავათებით სარგებლობენ მხოლოდ ის მონაწილენი, რომლებიც საქართველოდან წარგზავნეს სამხედრო კომისარიატებმა და ეს შეღავათები გათანაბრებულია სამამულო ომის მონაწილეთა შეღავათებთან.

გთხოვთ, გვაცნობოთ, რატომ არ ვრცელდება შეღავათები იმ მონაწილეებზე, რომლებიც არ გაუგზავნია სამხედრო კომისარიატებს, მაგრამ შეასრულეს იგივე სამუშაოები?

ოლეგ კაპჩინსკი,
ჩერნობილელთა ასოციაციის პრეზიდენტი.

ამ საკითხის გასარკვევად მივმართეთ საქართველოს სამხედრო კომისარიატის მეოთხე განყოფილების ოფიცერს პოლკოვნიკ ზაქარია არდაზიშვილს. იგი განმარტავს:

1990 წლის 31 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 325-ე დადგენილების თანახმად სამხედრო მოსამსახურეებზე, მათ შორის სხვადასხვა უწყების მიერ მივლინებულ სამოქალაქო პირებზე, ვინც 1986-1988 წლებში ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების აღმოსაფხვრელად 30-კილომეტრიან ზონაში მუშაობდა (შესრულებული სამუშაოს ხანგრძლივობის მიუხედავად), ამ დადგენილებით ყველაზე ერთნაირი შეღავათია გათვალისწინებული. ეს დადგენილება თავის დროზე გაეგზავნა ყველა მოკავშირე რესპუბლიკას. ამას და სხვა საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც ჩერნობილის აეს-ის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირებს ეხებათ, იცნობს საქართველოს ჩერნობილელთა ასოციაცია. ეს საკანონმდებლო აქტები დღესაც ძალაშია, მათი შესრულება სავალდებულოა. ასე რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეღავათები ყველას მიმართ ერთნაირად ვრცელდება.

გვწერენ

„იდიდე მარად, ჩემო სამშობლო!“

ამ ბარათის დაწერა მაიძულა თქვენი გაზეთის 16 ივლისის ნომერში მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელის სტატიამ: „სიმღერა აღდგენილია“, რომელიც ეხება საქართველოს დიდი კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის სიმღერას პარტიაზე — „გვიხმობს სამშობლო“. რამდენადაც ვიცი, ყველა ქართველი და არა მარტო ქართველი სიხარულით შეხვდა ამ გონივრულ ნაბიჯს, არ დაუკარგა ერს კიდევ ერთი მარგალიტი.

რა თქმა უნდა, მეც დიდი სიამოვნებით შევხვდი, 42 წელიწადი თბილისში მცხოვრები არაქართველი — ბულგარ[illegible]. აქ დაიბადა ჩემი ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი.

ახლა კი იმის შესახებ, რისთვისაც გწერთ. რაც სახელმწიფო დამოუკიდებლობა მივიღეთ, გადაწყდა, რომ შეიცვალოს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. მე, როგორც პროფესიით მუსიკათმცოდნეს (ამჟამად პენსიონერი) არ მჯერა, რომ დღეს საქართველოს ჰიმნის მუსიკა იმაზე დიდებული, მელოდიური და ძლიერი შეიქმნას, როგორიც ბატონ ოთარ თაქთაქიშვილის „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოა“. იქნებ ვცდებოდე, მაგრამ თუ კონკურსის მერე ნახავენ, რომ იგი უკეთესია, ისევე როგორც ბატონ რეზო ლაღიძის სიმღერას — ტექსტად სხვა სიტყვები მოუძებნონ. არ იქნება ეს დიდი ცოდვა. მართალია, ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მაგრამ იგი ბევრჯერ მომისმენია ჩემი ქართველი კოლეგებისა და მეგობრებისაგან.

პატივისცემით
ოვანეს ანტონოვი,
მუსიკათმცოდნე,
პენსიონერი.

ოღონდ ექვსი შვილი ვარჩინო!

ჩემი ხნის ხალხს და უფრო ასაკოვნებსაც, ალბათ, ახსოვთ ბრწყინვალე ფილმი „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“.

რაღა იმ ამერიკელი ჯარისკაცის და რაღა ჩემი ბედი!..

იწვალე, ივაგლახე, დაიდგი წელებზე ფეხი, აღივსე სიამაყის მაცდუნებელი გრძნობით, რომ ნაღდი პატრიოტი გერქმევა, თუ მრავალ შვილს აღუზრდი მამულს!...

მერე? ა, ბატონო, ხომ აღუზარდე! რა თქმა უნდა, საჭმელიც აკლდათ და სასმელიც. სხვანაირად მრავალ შვილს ვერ აღზრდი! ერთმანეთის გამონაცვალებში უნდა დაფრთიანდნენ. ყოველ სეზონზე ექვს წყვილ ფეხსაცმელს და ექვს ხელ ტანსაცმელს ჩემი მდგომარეობის კაცი მაიპარად ვერ შეიძენს!..

მდიდრულად ვინც ცხოვრობს, ან ერთ კაკალ შვილს უზრდის ქვეყანას ცივნიავმიუკარებლად, ან ნაშვილებს, ან სულ უშვილძიროა, ასეთებს კიდევ რა უჭირთ, იმათ რომ ნასადილევს ნამუსრევი რჩებათ, იმდენი ხორაგით ჩემნაირები დაბადების დღეს უხდიან შვილებს!..

უსწავლელი, უნიათო და უსაქმური არასოდეს მეთქმოდა. ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი გახლდით და იმის გამო, რომ კისერზე ექვსი შვილი მეჯდა, შორეულ ეთიოპიას გავემგზავრე სამუშაოდ. აქ ხელფასი მენახებოდა, იქ ეთიოპიელები ვალუტით მიხდიდნენ გასამრჯელოს. იქაური თაკარა მზეც მწვავდა და შინ დატოვებული ოჯახის ფიქრიც. მაგრამ გავუძელი და, რომ იტყვიან, ორიოდ გროშიც დავაგროვე. ბარე ორს, ორიოდე გროში კი არა, კარგა მოზრდილი თანხაც გაუცუნცრუკდა ამ სამიოთხი წლის წინათ და მე რაღა დამრჩებოდა!...

დღეს, რა თქმა უნდა, უმუშევარი ვარ! ან ჰიდროტექნიკოსი ვის რაში სჭირდება, ან მელიორატორი! არადა, როდემდე — ასე უხელფასოდ და უმუშევრად!

ქუჩიდან რომ „ნაყინი, ნაყინი“ შემომესმება, უმალვე დარაბებს ვგმანავ, უმცროსმა ბიჭმა რომ ყური არ მოკრას! მასზე უფროსი, ზაური, ჯარშია და ხეირიანად ისიც არ ვუწყი, რას ჭამს და რას სვამს. ერთი ვიცი ნაღდად — როდესაც აფხაზ სეპარატისტებთან მორიგი მოლაპარაკება ჩიხში ექცევა, ჩემს მეუღლეს ნერვები დაწყვეტაზე აქვს. მე რა, მე მამა ვარ, არ შემფერის პანიკიორობა და არც ვიფერებ, მაგრამ...

ნებისმიერ სამუშაოზე თანახმა ვარ, ოღონდ ხელფასი მქონდეს, ოღონდ ექვსი შვილი ვარჩინო.

არადა, შენდება ნავთობსადენი, ჭაბურღილები, ტერმინალები...

ჩემის აზრით, ბევრს არაფერს ვითხოვ — მომეცით საშუალება უმაღლესი კატეგორიის ინჟინერს, ღირსეულად გავუძღვე მრავალშვილიან ოჯახს, ჯარისკაცის მამობაც მეამაყებოდეს და შვილიშვილსაც უხაროდეს ჩემი დანახვა, „სნიკერსსა“ და „დოპინგს“ თუ არა, უბრალო მომჟავს მაინც რომ მოელის ჩემგან.

ზაურ ზარნაძე,
ექვსი შვილის
უმუშევარი მამა.

რედაქციისაგან: ეს წერილი გავაცანით დასაქმების დეპარტამენტის თავმჯდომარეს კოტე ღლონტს, მან გვითხრა: დასაქმების დეპარტამენტში, ანუ როგორც მას ადრე უწოდებდნენ — შრომის ბირჟაზე, დღეისათვის დაახლოებით ხუთასამდე თავისუფალი სამუშაო ადგილი გვაქვს. მართალია, ჰიდროტექნიკოსს ჯერჯერობით პროფილით ვერაფერს შევთავაზებთ, მაგრამ იქნებ რაიმე შესაფერისი მოვუძებნოთ. მობრძანდეს ჩვენთან ბატონი ზაური, შესაძლებლობის ფარგლებში აუცილებლად დავეხმარებით.

... მაშინ სახელმწიფო მინისტრი მიდის მთასთან

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვერტმფრენი ხელისგულისდადება ძალიან პირობით ვაკობზე დაეშვა. დაეშვა და მფრინავებმა ძრავა არ გამორთეს — ამ სიმაღლეზე (თითქმის 3 ათასი მეტრი ზღვის დონიდან) ველარ აამუშავებდნენ გაუხშოებული ჰაერისა გამო.

სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა და მისმა თანხმლებმა მინისტრებმა, სხვა ხელმძღვანელებმა მამისონის უღელტეხილის უმაღლეს წერტილზე აგებულ მეტეოროლოგიურ სადგურზე მეცნიერული დაკვირვებების აღდგენის, სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების საგუშაგოების გახსნისთვის საჭირო ღონისძიებებზე მოილაპარაკეს. ამაზე ხვალ მოგითხრობთ.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ბატონ ნიკო ლეკიშვილის ყოფნის შესახებ პირველ წერილს დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე გთავაზობთ.

ახალი ბანკი

10 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პირველი ვიცეპრეზიდენტის მოადგილე, საფინანსო დეპარტამენტის უფროსი დევიდ ჰექსტარი.

საქართველოს პრეზიდენტმა დიდი შეფასება მისცა „შავი ზღვის საერთაშორისო ბანკი — საქართველო“ დაფუძნების ფაქტს, რომელიც დღეს გაიხსნება და რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

საწარმოთა ხვალინდელი დღე

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასა და „ჭიათურმანგანუმში“ შექმნილი ვითარებისა და ამ საწარმოთა განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა კონკრეტულ ასპექტებზე იმსჯელეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და ჩვენს ქვეყანაში სამუშაო ვიზიტად მყოფმა ფირმა „მიკროდინის“ თანათავმჯდომარემ ალექსანდრე სოკოლოვმა.

შეხვედრაში მონაწილეობდა სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი.

თავდაცვის მინისტრებმა შეთანხმებებს ხელი მოაწერეს

10 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ და უზბეკეთის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა რუსტამ ახმედოვმა ხელი მოაწერეს ორმხრივი დოკუმენტების პაკეტს, რომლებიც განსაზღვრავს სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ დარგებში ორი ქვეყნის ურთიერთობასა და თანამშრომლობის პერსპექტივას. კერძოდ, ხელმოწერილია ზურგის უზრუნველყოფის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საკითხებთან დაკავშირებული ოქმები და სხვა. ხელმოწერილია აგრეთვე დოკუმენტი საქართველოსა და უზბეკეთის შეიარაღებული ძალების საჰაერო ხომალდებისა და ავიაციისათვის სამხედრო აეროდრომების გამოყენების შესახებ.

ხელმოწერის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია.

სურათზე: ხელმოწერის დროს.
ბესიკ კეზერაშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩამოვიდა მალაიზიის ელჩი

10 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელები გადასცა მალაიზიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში დათუკ იაჰია ბაბამ.

ტრადიციული ცერემონიის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა მალაიზიის გამოცდილებას დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე და განაცხადა, რომ იგი ორიენტირად შეიძლება გამოადგეს ყველა იმ ქვეყანას, რომელმაც სახელმწიფოებრივი განვითარების ფორმად სწორედ სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა აირჩია.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან ნორმალური, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარებაა.

მალაიზიის ელჩმა მიულოცა საქართველოს პრეზიდენტს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში მიღწეული წარმატებები და განაცხადა, რომ მალაიზია, რომელმაც 39 წლის წინათ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ განვითარებული მრეწველობის ქვეყნად იქცა, უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება პარტნიორების შერჩევას მთელ მსოფლიოში. საქართველოსთან დიპლომატიური კავშირის გააქტიურება, როგორც აღნიშნა ელჩმა, ხელს შეუწყობს საქმიანი კონტაქტების დამყარებას ორივე ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით.

* * *

იმავე დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი შეხვდა ჩვენს ქვეყანაში ახლადდანიშნულ მალაიზიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს.

პრესას, ალბათ, ეშველება

10 სექტემბერს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის გადაუდებელ ღონისძიებათა რეალიზაციის სახელმწიფო კომისიის სხდომა.

ახალი სახელმწიფოს მშენებლობა სულ უფრო აქტუალურს ხდის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სისტემაში ძირეული ცვლილებების შეტანას, სერიოზული ღონისძიებების განხორციელებას დარგის კრიზისიდან გამოყვანისათვის და მისი განვითარებისათვის სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას.



დღეისათვის შედგენილია „პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც მოიწონა საქართველოს პრეზიდენტმა. მომზადდა დარგების აღორძინება-განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტთა პაკეტი. მასში ასახულია ყველა ის საკითხი, რომლებიც წამოაყენეს გამომცემლობებმა და სახელმწიფო კორპორაციამ და რომელთა მოგვარება ამჟამად ხელეწიფება ხელისუფლებას.

თათბირზე იმსჯელეს დარგში არსებულ პრობლემებსა და სახელმწიფო კომისიის მუშაობის დეტალებზე. პოლიგრაფიისა და საგამომცემლო სფეროებში შექმნილი ვითარება და პრობლემათა მოწესრიგების გზები მთავრობის უახლოეს სხდომაზე განიხილება. მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება პარლამენტს.

გაბარაევისა და ჩიბიროვის დაპირისპირება?

სარწმუნო წყარომ შიდა ქართლის ადმინისტრაციიდან „იბერიის“ კორესპონდენტს აცნობა, რომ გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებაზე დაკავშირებულია მწვავე დაპირისპირებასთან, რომელიც არსებობს ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო ნიხასის თავმჯდომარეს ლუდვიგ ჩიბიროვსა და პრემიერ-მინისტრ გაბარაევს შორის. გაბარაევი ჩიბიროვს ბრალს სდებს საქართველოსადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში, მაშინ, როდესაც „საქართველოს აგრესიას ათასობით ოსის სიცოცხლე შეეწირა“.

ჩიბიროვი ამ სიტუაციაში ცდილობს განამტკიცოს თავისი ხელისუფლება და ამ მიზნით სურს საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება. ვარაუდობენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ორი კანდიდატი: გაბარაევი და ჩიბიროვი. ხოლო რადგანაც ამ უკანასკნელს მხარს უჭერს სამხედრო ფორმირება, ფინანსური წრეები და მოსახლეობის უმრავლესობა, სწორედ იგი გაიმარჯვებს არჩევნებში, რომელიც შეიძლება ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდეს.

შიდა ქართლის ადმინისტრაციიდან კომპეტენტური წყაროს ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ ჩიბიროვი უკან დაიხევს და აღარ დაუჭერს მხარს საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებას, ცხინვალში შეიძლება საქმე სამოქალაქო ომამდეც კი მივიდეს.

ბალში ქურდმა „პაგონები“ დაიკერა

გალის რაიონში შეიქმნა აფხაზური სამხედრო კომისარიატი. კომისრად დანიშნულია მაიორი არმბა, ხოლო მის მოადგილედ ცნობილი კანონიერი ქურდი დაურ კირთაძე.

როინ მეტრეველს ღვაწლი დაუფასეს

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს აკადემიკოს როინ მეტრეველს მიენიჭა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ლადო გუდიაშვილის საიუბილეოდ

14 სექტემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება დიდი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის საიუბილეო საღამო.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში და „სურათების ეროვნულ გალერეაში“ თავმოყრილი იქნება დიდი ქართველი მხატვრის ნამუშევრები.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა - საქინფორმმა, იბერიამ და ჩვენმა კორესპონდენტებმა.

პრემიერა

„პარლამენტი“ გპირდებათ

ძვირფასო მკითხველებო! ამიერიდან საპარლამენტო ცხოვრების ასახვას გპირდებათ ჩანართი „პარლამენტი“, რომელსაც ყოველი კვირის ოთხშაბათს ჩვენი გაზეთის მესამე გვერდზე იხილავთ.

მოგითხრობთ პარლამენტის ცხოვრების საინტერესო ფაქტებსა თუ მოვლენებზე, გაგაცნობთ მიღებულ კანონთა ნუსხას; ანალიტიკური წერილებითა და კომენტარებით ჩაგახედებთ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კანონშემოქმედებაში. გაგაცნობთ დეპუტატებს.

ითანამშრომლეთ ჩვენთან. მოგვწერეთ, საპარლამენტო მუშაობისა და ცხოვრების რომელი სფერო და საკითხი უფრო გაინტერესებთ. რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას უსურვებდით პარლამენტს.

იმედი გვაქვს, საზოგადოებრიობა გაგებით მოეკიდება ჩვენი სამსახურის სპეციფიკას

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განცხადება

წლეულს, 22 აგვისტოსა და 2 სექტემბერს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ წერილებში „ანანიაშვილის უამრავ მაყურებელთან ერთად პოლიციელებს მისი მშობლებიც შემოეჩხრიკათ“ და „მასწავლებლებს ჩხრეკენ და აჯილდოებენ“ საკმაოდ კრიტიკულად არის შეფასებული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის (და არა პოლიციის, როგორც პირველ წერილშია) თანამშრომლების მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და სხვა დასაცავი პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

კარგად გვესმის, რომ პროცედურა, რომელიც გარკვეული შეზღუდავი ზომების განხორციელებას ითვალისწინებს, არ შეიძლება მოქალაქეებში დადებით ემოციებს იწვევდეს.

ამასთან, იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ქვეყანასა და მის ირგვლივ შექმნილი რთული პოლიტიკური თუ კრიმინოგენული სიტუაციის, აგრეთვე, მთელ მსოფლიოში ტერორიზმის მასშტაბების არნახული ზრდის გათვალისწინებით, ჩვენი საზოგადოებრიობა სწორედ აღიქვამს ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებს, აგრეთვე, საქართველოში სტუმრად მყოფი მაღალი რანგის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების უსაფრთხოების მიზნით განხორციელებულ დაცვით ღონისძიებებს.

სრული პასუხისმგებლობით გვინდა განვაცხადოთ, რომ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის მიერ, სხვა ძალოვან სტრუქტურებთან ერთად, ამ მიმართულებით განხორციელებული ყველა დაცვითი ღონისძიება ეფუძნება მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში დამკვიდრებულ პრაქტიკას და მოქცეულია იმ კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა მოქმედი კანონებით, მათ შორის, კანონით „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“. სწორედ ეს კანონი პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურს „ჩაატაროს ოპერატიულ-ტექნიკური შემოწმება დასაცავი პირის მუდმივი და დროებითი ყოფნის ადგილებში“, „დასაცავი პირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს და განახორციელოს სპეციალური ღონისძიებები“, „გამოიყენოს სპეციალური საშუალებები“ და ა.შ.

სამსახურის ხელმძღვანელობა მზად არის დაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე ამომწურავი პასუხი გასცეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს. ამასთან, სთხოვოს საზოგადოებრიობას, გაგებით მოეკიდოს სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის მუშაობის სპეციფიკას.

მკითხველთან პირისპირ

თამაზ კვაჭანტირაძე გისმენთ!



გუშინ, 10 სექტემბერს 12-დან 14 საათამდე ჩვენს მკითხველებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ტელეფონით ესაუბრებოდა რედაქციის სტუმარი, საქართველოს განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე.

ამ საუბარმა, უფრო ადრე კი სარედაქციო ფოსტაში შემოსულმა წერილებმა, ცხადყო, თუ რაოდენ დიდია ჩვენი საზოგადოებრიობის დაინტერესება განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმით.

მკითხველებთან განათლების მინისტრის პირისპირ შეხვედრის ამსახველ მასალას გაზეთის უახლოეს ნომერში მოგაწვდით.

გიწვევთ

გიპასუხებთ სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი



სამშაბათს, 17 სექტემბერს, ორი საათის განმავლობაში 12-დან 14 საათამდე რედაქციის ტელეფონით 93-20-34 საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ავთანდილ სილაგაძე უშუალოდ პასუხს გასცემს თქვენთვის საინტერესო კითხვებს. დაუკავშირდით! შეკითხვები შეგიძლიათ წერილობით რედაქციაშიც გამოგვიგზავნოთ მისამართით კოსტავას ქუჩა №14, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

უკანასკნელ საათს

რუსეთის პრეზიდენტმა „ბირთვული ღილაკი“ არავის ანდო

როგორც რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა სერგეი იასტრჟემბსკიმ განაცხადა, პრეზიდენტის ბრძანებით მისი „შვებულების დროს ძალოვანი სამინისტროების გამგებლობა გადაეცემა პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ჩერნომირდინს“. მაგრამ, დასძინა პრესმდივანმა, ეს არ ეხება ე. წ. „ბირთვულ ღილაკს“, რომელიც პრეზიდენტმა არავის ანდო.

პრემიერ-მინისტრის თქმით, „რწმუნებათა დროებითი გადაცემის პროცესი მოგონილი და უტაქტოა. პრეზიდენტი პრეზიდენტად რჩება“.

როგორც ექიმები ამბობენ, გულის აორტის ოპერაცია — შუნტირება არ არის რთული და სახიფათო, იგი გაკეთებული ჰქონიათ პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ჩერნომირდინს და ვიცე-პრემიერს ოლეგ ლობოვს.

ჩეჩენი სეპარატისტები არღვევენ შეთანხმებას

როგორც ჩანს, ხასავიურტის შეთანხმებამ ვერ შეაჩერა ცეცხლი. ბოევიკთა ჯგუფები ცეცხლს უშენენ რუსეთის საგუშაგოებს. სეპარატისტები თავს უყრიან ძალებს გროზნოში, თავიანთ ხალხს ნიშნავენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

გუდერმესში ავისმომასწავებელი ვითარებაა. იქ არიან სალმან რადუევის და სხვა საველე მეთაურების რაზმები, რომლებიც თანდათან ძალას იკრებენ.

გროზნოში გაიმართა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მოძრაობის ყრილობა ასლან მასხადოვის თავმჯდომარეობით. მიღებულ რეზოლუციაში მოიწონეს კოალიციური მთავრობის შექმნის იდეა, რომელშიც სეპარატისტებისა და რუსეთის გარდა იწვევენ კანონიერი ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც. მაგრამ ჩეჩნეთის მთავრობის მეთაურმა დოკუ ზავგაევმა განაცხადა, რომ მას საერთო არაფერი აქვს კრიმინალურ ელემენტებთან.

ამავე დროს მოსკოვში შვებულება აიღო რუსეთის შს მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა. მისდამი დაქვემდებარებული შინაგანი ჯარები კვლავ დოკუ ზავგაევს (და არა სეპარატისტ მასხადოვს), — ცნობენ ჩეჩნეთის კანონიერ ხელმძღვანელად, ვინაიდან მინისტრისგან არავითარი დამატებითი განკარგულება არ მიუღიათ, ამან კი შეიძლება დიდი წინააღმდეგობანი გამოიწვიოს ჩეჩნეთში, სადაც თანდათან გამოიკვეთა სხვადასხვა ძალების დაპირისპირება.

საქართველოს რესპუბლიკ

№183. ოთხშაბათი, 11 სექტემბერი, 1996 წელ

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 8 სექტემბერი — ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო საქმის გაუმჯობესების, საბაჟო სისტემის რეორგანიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა და საერთაშორისო ტვირთზიდვის სფეროში სახელმწიფო წესრიგის განმტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 24 ივნისის № 409 ბრძანებულებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით, რომლის სტრუქტურაში არ შევიდა სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა", აგრეთვე მძიმეწონიან და მსხვილგაბარიტიან ავტოსატრანსპორტო საშუალებათა საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე გატარებისას მათ მიერ გზებისა და გზებზე საინჟინრო ნაგებობებისათვის მიყენებული ზარალის სავალდებულო კომპენსაციისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით „საქართველოში საბაჟო საქმის გაუმჯობესების, საბაჟო სისტემის რეორგანიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა და საერთაშორისო ტვირთზიდვის სფეროში სახელმწიფო წესრიგის განმტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 24 ივნისის № 409 ბრძანებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 პუნქტის 2. 1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამტარ პუნქტებში თავის ფუნქციებს განახორციელებენ მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის" შესაბამისი სამსახურები საბაჟო დეპარტამენტის თანხმობის საფუძველზე".

2. მე-7 პუნქტის პირველი სტრიქონი და ამავე პუნქტის 7.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრომ (მ. ადეიშვილი):

7.1. უზრუნველყოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისა და ტრანსპორტთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების (გარდა წონითი და გაბარიტული პარამეტრებისა) კონტროლი, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაცია".

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 8 სექტემბერი — ქ. თბილისი

„სკოლებისათვის პედაგოგთა მომზადება მრავალეროვან საზოგადოებაში" საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის ღონისძიებათა შესახებ

იუნესკოს გადაწყვეტილებით, საქართველოსა და იუნესკოს შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილ იქნა საერთაშორისო ფორუმზე „კულტურათა დიალოგი კაცობრიობისათვის აგრესიულობისა და შეურიგებლობის დასაძლევად" და მიღებული რეკომენდაციების რეალიზაციის მიზნით თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა, საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნულმა კომისიამ და ფონდმა „დემოკრატია და აღორძინება" წამოაყენეს წინადადება „სკოლებისათვის პედაგოგთა მომზადება მრავალეროვან საზოგადოებაში" საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის შესახებ.

კონფერენციის მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და იუნესკოს მდიდარი გამოცდილების განზოგადება მსოფლიო კულტურისა და ტოლერანტობის სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში საქართველოს მრავალეროვანი შემადგენლობის გათვალისწინებით და ამასთანავე, ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

კონფერენციამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის ეფექტიან განხორციელებას. იგი აქტუალურია კავკასიის მთელი რეგიონისათვის, რომლის სახელმწიფოთა წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ამ საერთაშორისო ფორუმში და ეს ხელს შეუწყობს „მშვიდობიანი კავკასიის" იდეის პრაქტიკულ განხორციელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. კონფერენცია მოეწყოს ქ. თბილისში წლეულს, 23-28 ოქტომბერს.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ კონფერენციის შედეგები და რეკომენდაციები მოხსენდება განათლების საკითხებში ჟენევის საერთაშორისო კონფერენციას წლეულს, ნოემბერში.

2. კონფერენციის ორგანიზაცია დაევალოს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტს (ვ. სართანია).

3. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა (ნ. ლეკიშვილი), სახელმწიფო კანცელარიის უფროსმა (პ. მამრაძე), განათლების მინისტრმა (თ. კვაჭანტირაძე), საგარეო საქმეთა მინისტრმა (ი. მენაღარიშვილი), ქ. თბილისის მერმა (ბ. შოშიტაიშვილი), საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა (ი. ანდრიაძემ), საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა მცხეთა-მთიანეთის მხარეში (შ. ობგაიძე), სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განყოფილების უფროსმა (კ. იმედაშვილი), ფონდის „დემოკრატია და აღორძინების" პრეზიდენტმა (ნ. ფოფხაძე), თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა (რ. მეტრეველი) აღმოუჩინონ დახმარება კონფერენციის ორგანიზატორებს და გადაწყვიტონ კონფერენციის მოწყობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ კონფერენციის ორგანიზაციისათვის იუნესკოს მიერ გამოყოფილია საჭირო სახსრები (მონაწილეთა მგზავრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება) და თბილისის მერია (ბ. შოშიტაიშვილი), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (დ. იაკობიძე), განათლების სამინისტრო (თ. კვაჭანტირაძე) განახორციელებენ ღონისძიებებს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკონფერენციოდ მომზადებისათვის, აგრეთვე, განიხილავენ და წლეულს, 20 სექტემბრამდე, გადაწყვეტენ „იუნესკოს პედაგოგები მსოფლიო კულტურის მატარებლები" საერთაშორისო ასოციაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო სასკოლო ბაზის გამოყოფის საკითხს.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 8 სექტემბერი — ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროს მეთაურთა შემადგენლობისათვის ვადამდე სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროს მეთაურთა შემადგენლობას განსაკუთრებული დამსახურებისათვის ვადამდე მიენიჭოს:

პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება:

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს **აკაკი ბუხრაძეს** — ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის ნარკომანიისა და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებულ-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოადგილეს; პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს **ვიქტორ გობრონიძეს** — ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსს.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის სპეციალური წოდება:

პოლიციის მაიორს **ლერი ნაკანს** — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის სამმართველოს საერთაშორისო კავშირების მქონე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსს;

პოლიციის მაიორს **ტარიელ ხაბურზანიას** — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილეს, კრიმინალური პოლიციის უფროსს.

პოლიციის მაიორის სპეციალური წოდება:

პოლიციის კაპიტანს **შალვა ბაძგარაძეს** — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსს;

პოლიციის კაპიტანს **დავით ჭელიძეს** — თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის ნარკომანიისა და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებულ-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის განყოფილების უფროს ინსპექტორს.

ე. შევარდნაძე.

...მაშინ სახელმწიფო მინისტრი მიდის მთასთან

ქარიშხალს კუდზე დააჯდება ჩვენი ვერტმფრენი. ცოტა ხნის მერე, იმავე საღამოს და მომდევნო დღეებში პერმანენტულად: სადაც კი ჩავფრინდებით, ამბავს დაგვახვედრებენ — ძირიანად ამოგლიჯაო ხეები ქარმა, წვიმა იყოო — ცა ჩამოიქცა!

მოკლე, როგორც წალდის მოქნევა.

მეტეოროლოგიური გააქტიურების ეს ციკლი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის საქმიან მივლინებას დაემთხვა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. თუმცა სტიქიის ამ საჩვენებელ გამოხდომას არსებითად არც მარშრუტი შეუცვლევინებია, არც გრაფიკი დაურღვევია.

სახეები იყო მხოლოდ შეცვლილი, დამხვდურთა — ამ ქარიშხალს როგორ გამოაღწიეთო.

კუდზე ვეჯექით ქარიშხალს.

ეს უკვე ვთქვი.

ჯერ კი რაჭის სიმწვანეს თავზე ვევლებით.

რაჭა აჭრილ კარტსა ჰგავს, გასურებული თამაშის დროს გამოუცდელ მოთამაშეს რომ ამოუვარდება დასტიდან, ამოვარდება და გადმობრუნებული დაეცემა მწვანემაუდიან მაგიდას — ათიანი, ექვსიანი, ტუზი — ასე ჩანს მეტ-ნაკლები სიდიდის სოფლები ვარჯებგადახლართული ფოთლოვანი ტყეების ფონზე, უღრანი ტყისა, რომლის სხივდაუცემელ სიღრმეში ბევრი პრობლემა იმალება. პრობლემა ტყეკაფვის, უგზოობის და უტრანსპორტობის, ხე-ტყის მასალის რეალიზაციის სირთულეების, მოსახლეობის მომარაგების, ტყის დაცვითი სამუშაოების და ასე შემდეგ.

ამ პრობლემებზე საუბარს გივი ჯაფარიძე, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თბილისის აეროპორტშივე იწყებს, ვერტმფრენში გააგრძელებს და მოსახლეობასთან ყოველი შეხვედრის დროს ისევ და ისევ ტყეთსარგებლობის და ტყის მოვლა-აღდგენის საკითხებზე საუბრით დაამთავრებს.

ქვემო სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმის მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი სფერო ტყე გახლავთ. ტყე, რომლის ინვენტარიზაციას, აღწერა-აღნუსხვას პრაქტიკულად ახლა შეუდგნენ (?!)

ცოტა ეჭვი შევეპარება ფორმულის სისწორეში — სტატისტიკამ ყველაფერი იცის.

სანამ გასაგებს გაიგებს ბატონი სტატისტიკა, გავიხსენოთ, რომ ტყისადმი დამოკიდებულება მოსახლეობის ყოფითი კულტურის გამოვლენაც არის, რომელიც საუკუნეების მანძილზე მყარ ტრადიციად ჩამოყალიბდა. ყოველ სოფელს, ლენტეხის რაიონში მაგალითად, თავისი ტყე აქვს და სხვა იქ არ შევა: იცავენ და უვლიან თავისას და მეზობლის უფლებასაც პატივს სცემენ.

მაგრამ თემური წყობილების კანონებით ხომ ვერ ვიცხოვრებთ?

თანამედროვე ბუნებათსარგებლობა თანამედროვე მეცნიერებას ეფუძნება. ამიტომ საჭიროა ტყეთსარგებლობის ერთიანი იდეოლოგია, ერთიანი პოლიტიკა, რომლის შემმუშავებელი და განმხორციელებელი უნდა იყოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი. ყველა თავისი კანონით ვერ უნდა შედიოდეს ტყეში. ხუთი თუ ექვსი უწყება, რომელთაც დანაწილებული აქვთ ტყეები საქართველოში და საკმაო ამბიციებიც ეტყობათ, იმ ერთიან პოლიტიკას უნდა დაემორჩილონ, — ასეთი იყო სახელმწიფო მინისტრის დასკვნა ლენტეხის საზოგადოებრიობასთან შეხვედრის დროს ტყეთსარგებლობის საქმეში სამწუხარო უთავბოლობის გამო გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე.

მრავალმხრივ საინტერესო გამოდგა ეს შეხვედრა, მაგრამ მთავარი (რაც შემდეგ სხვა ამგვარი კონტაქტების დროსაც დადასტურდა), ხალხის სურვილი იყო ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბრის და ურთიერთობისა.

არა კონფრონტაცია, არა გაუთავებელი პრეტენზიები (თუმცა არც უამისობა იყო), არამედ, სურვილი ურთიერთობისა, შეკითხვებით დაწყებული, თანამშრომლობის მზადყოფნით დამთავრებული.

„რევოლუციური ქარიშხლებისა" თუ კრიმინალთა მორჩილების მენტალიტეტი „ხვალ რა ვქნათ?"-ის რეალისტური ფიქრითა და ზრუნვით იცვლება.

იქნებ ბოლომდე არა, იქნებ არის ნარჩენები იმ ძველი მენტალიტეტის — „სახელმწიფომ მიპატრონოს" მთავარი მოტივით, მაგრამ ნარჩენები, რომლებიც იმ სავსივით არის, წყალწაღებული რომ ეჭიდებოდა, ანუ ექსტრემალურ გარემოში მოხვედრილი კაცის ინსტინქტური მოქმედებაა, გნებავთ, ძნელად გადასვლის სინდრომი დავარქვათ ამას.

ლენტეხის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის ოლია უშხვანის გამოსვლამ ამ თავყრილობაზე ყველაფერი ეს დაიტია: ერთი მხრივ, შეგნება იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე ეკონომიკის გადასვლა აუცილებელი და შეუქცევადი პროცესია, მაგრამ, მეორე მხრივ, უმძიმესი ეკონომიკური სიტუაციაა რაიონში, რომელიც კლასიკური კაპიტალისტური ქვეყნების ისტორიის ანალოგიური პერიოდების გახსენებით ვერ გაუმჯობესდება. აქ პრაქტიციზმი პირველობს: მოითხოვენ ტყეთსარგებლობის გადასახადის გაუქმებას, შეღავათებს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების რეფორმით გათვალისწინებულ ფასიან მომსახურებაში, განათლებისა და კულტურის ობიექტების მთლიანად ამორტიზებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ლენტეხისათვის მაღალმთიანი რაიონის სტატუსის მინიჭებას და ასე შემდეგ.

არის ეს მთავრობის საზრუნავი?

არის.

მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ დღეს თუ რაღაცნაირად დაგეხმარება ხელისუფლება, მხოლოდ საქმიანობის სათანადო პირობების შექმნით და არა მოწყალების გაღებით.

ერთი სიტყვით, ეს ხვალის პოზიცია არ არის. უფრო იმ დროის გამომახილია, რომელსაც აქ, ლენტეხის კულტურის სახლის სცენის კედელზე მლივს ამოსაკითხ ნალოზუნგარად დაუტოვებია: „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისია".

საოცარი იყო, რომ „იმ დროის" კაცმა, ღვაწლმოსილმა პიროვნებამ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა სალარეფ გასვიანმა დღევანდელი პოზიცია დაიცვა.

თქვენ თვითონ შეაფასეთ: — ლენტეხმა, — თქვა მან, — გონიერი მეურნის ხელში შეიძლება ისე აღორძინოს თავისი ეკონომიკა, ორი-სამი სხვა რაიონიც არჩინოსო.

ჩამოთვალა — ტყე, ფლორა და ფაუნა, მარმარილოსა და დარიშხანის საბადოები, წყლის ენერგია, უნიკალური მინერალური წყალი და კიდევ სხვა ბუნებრივი სიკეთე, რომელიც ფერხთით დევს, დასწვდი და გამოიყენე.

იტყვი ამის გამგონე ღარიბები ვართ და ხელი გაგვიმართეთო?!

— პრობლემები, რომლებიც გვახრჩობს, — უთხრა შეკრებილთ ნიკო ლეკიშვილმა, — ჩვენ თვითონ შევქმენით, ჩვენი ბედოვლათობის შედეგია. ავყევით იმ პერიოდის ემოციებს, და ხელში დანგრეული ქვეყანა შეგვრჩა.

ომებისა და კრიმინალების თარეშის შემდეგ პრაქტიკულად მხოლოდ ერთი წელიწადია, რაც საქართველოში განვითარების ტენდენცია დაიწყო.

ამ გზაზე, როდესაც რეფორმები შეუქცევადი გახდა, სახელმწიფო მინისტრი არ გამორიცხავს ცალკეულ შეცდომებს: საქმე ის არის, დროულად აღვკვეთოთ ისინი. იქნება ეს, ვთქვათ, გაუთვალისწინებლობა დიფერენციაციისა მთისა და ბარის რაიონებს შორის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, თუ სხვა რამ. რა თქმა უნდა, რეფორმა გარკვეულ გამონაკლისებს ითვალისწინებს (სადაც ეს არ გაკეთებულა, უნდა გაკეთდეს); მაგრამ პრინციპული ხაზი და საბოლოო მიზანი ერთი უნდა იყოს. ეხება ეს ეკონომიკასაც და სოციალურ სფეროსაც. სახელმწიფო მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რეფორმა ყოველთვის წინ უსწრებს პრაქტიკულად შექმნილ მდგომარეობას, განსაკუთრებით, — სოციალურ სფეროში.

აქ ხდება საჭირო სახელმწიფოს ფუნქციის გააქტიურება. რასაც ქვეყნის ხელისუფლება, რეალური სიტუაციიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ცდილობს. ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა 1997 წლის ბიუჯეტი, რომელიც სოციალურ პრობლემებზე იქნება ორიენტირებული, შეეხება ეს საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავეთა ხელფასების, აგრეთვე, პენსიებისა და დახმარებების მომატება-მოწესრიგებას.

სახელმწიფო მინისტრმა სწორედ აქ თქვა პირველად და ხაზგასმით, რომ ქვეყანაში სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ გაიმარჯვა. ამაში იგი კიდევ ერთხელ დარწმუნდა ამ შეკრებაზეც და პირადი შეხვედრების დროს გამართულ საუბრებშიც: საერთო პრობლემების გადაჭრით პირადი საკითხების მოგვარება, მაგრამ არა — იმ ძველი, სოციალისტური გაგებით. სახელმწიფო ქმნის თავის მოქალაქეების კეთილდღეობისათვის საჭირო პირობებს ამ უკანასკნელთა სამეურნეო და სოციალური გააქტიურებისათვის.

* * *

შეხვედრა მთავრდებოდა, როცა მოიქუფრა, შავი ნისლი სახლების სახურავებზე დაეფინა და პირველმა ელვამ ამირანის ხმალი ჩაასო მიწაში, დევი დაეჭიდა, ვერ ამოიღო: ოოოხო! — ამოიოხრა და გრგვინვა ეგონა ხალხს.

ლეგენდებს აქ ბუნება უვება.

მოვარდება ნიაღვარი და სხვის წყალი წაღების პირამდე მისულ ხიდს გადაუვლის.

სადღაც აქ იყო გზა, რომელიც ახლა უსახელო შენაკადად იქცა ახალი მდინარისა.

სტიქია რამდენიმე წელიწადია ბობოქრობს ქვემო სვანეთში, რაჭაშიც და ლეჩხუმშიც.

ამაზეც ილაპარაკეს სხვათა შორის სვანებმაც, იმათზეც, ვინც სტიქიით დაზარალებულთა სიაში ჩაეწერა, ჩასახლდა ბარში და ახლა ისევ უკან ამოსვლას აპირებს: აქაც და იქაც. ზოგს კი, აქედან რომ ვერ დაძრულა, გაფართოების არავითარი საშუალება არა გვაქვსო.

ესეც პრობლემაა, რომელიც ცალკე შესწავლასა და გადაწყვეტას მოითხოვს.

გარეთ კი ისეთი დელგმაა, არავის სჯერა, რომ ვერტმფრენი აფრინდება...

აფრინდება და იმ ღამეს ჭრებალოში გავათენებთ.

არმაზ სანებლიძე.

(დასასრული იქნება)

რაჭა. 1996 წლის შემოდგომა. ბესიკ კეჟერაშვილის ფოტო.

ვულოცავთ!

ბერმუხები

თითქოს სიმბოლურია, ქვეყნის პრეზიდენტმა ღირსების ორდენით ერთად რომ დააჯილდოვა ქართული ჟურნალისტიკის ბერმუხები დავით მჭედლიშვილი და ანტონ კელენჯერიძე — ორი გამორჩეული პიროვნება — პატივცემულნი, ავტორიტეტულნი, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება შეალიეს ქართულ ჟურნალისტიკას.

ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორმა საქართველოს ტელევიზიით (მგონი, მეორე არხზე) ასეთი რამ განაცხადა: „უფროსი კოლეგებისაგან მე ის ვისწავლე, თუ როგორ არ უნდა ვიცხოვრო".

გამგებს უნდა გაეგო მისი ქარაგმა: საბჭოთა ეპოქაში იცხოვრეს და იღვაწეს უფროსმა კოლეგებმა და მათგან რა უნდა მესწავლაო.

რატომაც არ იტყვის!..

საბედნიეროდ, ის არ შესწრებია ცენზურას, ყურმოკრულად იცის, რას ნიშნავდა სტალინისა და ბერიას დროს (ის კი არა, ამ ათი წლის წინათაც) გაზეთში ან რადიო-ტელევიზიაში მოღვაწეობა.

იდეოლოგიური სამსახური, ქვეყანამ იცის, ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის მარჯვენა ხელი იყო.

უფროსმა კოლეგებმა რა მასწავლეს?..

მე, მაგალითად, საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გამიღვივა ბატონმა დავითმა, მასალის რედაქტირება მასწავლა, ფანატიკურად შემაყვარა გაზეთი...

მერე რა, მკაცრი და მომთხოვნი რომ იყო — საქმეს ასე სჭირდებოდა...

მახსოვს, ერთხელ, რა დღეში ჩავვარდო — ტირაჟმა დაიკლოო... თურმე 700 000-დან (დიახ, 700 000-დან!) ცოტა ქვემოთ ჩამოსულიყო ტირაჟი.

ამ გაზეთში, მართლაც სახალხო გაზეთში, თუ ბევრი რამ „ზემოდან" წამოსული იბეჭდებოდა, ძირითადად მაინც ის იყო ჭეშმარიტი მემატიანე მაშინდელი საქართველოსი.

20 წელიწადი „კომუნისტში"... (ადრე რომ „წვრილ-წვრილ" გაზეთებს რედაქტორობდა, იმას აღარ ვამბობ) ეს იყო ბატონი დავითის ჟურნალისტური შესაძლებლობების სრულად გამოვლენის ხანა. მას შემოკრებილი ჰყავდა თვალსაჩინო ქართველი მწერლები, პოეტები, პუბლიცისტები... ამ გაზეთით ეცნობოდა ყოველი ქართული ოჯახი ჩვენი კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ახალ-ახალ მიღწევებს.

გადაშალოს ჩვენმა ახალგაზრდა კოლეგამ (თუ იკადრებს) იმ დრ ის ნომრების გაყვითლებული რცლები და შეადაროს: ამ ფუ ლებზე უფრო მეტია ქვეყნის ზიანო ჭუჭყი და ტალახი, თუ ზ გიერთ დღევანდელ გაზეთში.

თავისუფლებას რა სჯობს, გრამ „პირზე მომდგარსა სიტ სა, განა სუყველას თქმა უნდა

... ახლა, როცა აქტიურ ჟურ ლისტურ საქმიანობას ჩამოშ ლდა, უფრო ხშირად შემობრ სიღნაღშია ბატონი დავით მ ლიშვილი.

ეს უმშვენიერესი ქალაქი თქოს სიცოცხლის ენერგ აძლევს მას და „რაღაც-რაღაც ბის" საწერადაც განაწყობს..

არადა, მოსაგონარი რამდენი ვს... ჰოდა ჯანმრთელად იყოს ნი ბატონი დავითი, ჩვენ — 'შენ გეტყვი"... ქიზიყის თამა ბით მთელი საქართველო რთმა კარგად უმყოფოს!..

ახლა ქიზიყიდან რაჭას გად დოთ — ბატონი ანტონ კელენ რიძის სატრფიალოს. თუმცა, ტონი ანტონი ახლა თბილის და აქედან ეალერსება რაჭ მთებს...

ანტონ კელენჯერიძე — ჩვენი თქათა მოხუცი, ჩვენი კეთილ მილიანი უფროსი კოლეგა და სწავლებელი...

მასთან „საქმეში" არ ვყო ლვარ, მის გვერდით არ მიმუ ნია, სამაგიეროდ, კეთილი ტყვით იგონებს მას საქართვე რადიოს თანამშრომელთა რთი თაობა.

ანტონ კელენჯერიძე, შ ითქვას, ერთ-ერთი დამაარს ლია რადიოკომიტეტისა და. ხანს ხელმძღვანელობდა კ კომიტეტს.

მოგეხსენებათ, რა მაგიურ ლა აქვს რადიოთი მოსმენილ ველ სიტყვას. მით უმეტეს, ას ტელევიზიის შემოსვლამდე...

განსაკუთრებული მნიშვნ ბა ენიჭებოდა რადიოს დიდ მამულო ომის პერიოდში და, ტონი ანტონიც, მაშინ ჯერ კ მცირერიცხოვან კოლექტი ერთად, დღე-ღამეს ასწორებდ გულისხმო ინფორმაციის მომ ბისათვის, ეთერში მისი ოპერა ულად გადაცემისათვის...

ამ ბოლო დროს აღარ შ ვლის ხოლმე ჩვენთან რედაქ ში. არადა, ერთ რამედ ღირ სთან საუბარი, მისი ყურისგდ

ვულოცავთ კიდევ ერთხელ არებას.

ვილ
მარდალეიშვილ

ოფიციალური ინფორმაცია

დედაქალაქში კვლავ მოეწყობა თბილისობის დღესასწაული

საქართველო-სახალხო დღესასწაული თბილისობა, რომელსაც სამოცდაათიან წლებში ჩაეყარა საფუძველი და შერმან კვლავ აღორძინდა, უპირველესად საქართველოს ერთიანობის, სიმტკიცის, განუყოფლობის ტრადიციას ამკვიდრებს.

ქვეყნის დამოუკიდებლობის შენების გზაზე იგი მეგობრობის, სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის შესანიშნავი დღესასწაულია, რომელიც ერთიანად ეკუთვნის ქართველს, რუსს, სომეხს, ქურთს, აზერბაიჯანელს. იგი თავისი მნიშვნელობით სცილდება ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო მასშტაბს იძენს.

თბილისობა ეროვნული ტრადიციების აღორძინების, ქვეყნის დოვლათის სიუხვის, საქართველოს ღირსეული შვილების წარმოჩენის ზეიმად და დასტურად იქცა. დედაქალაქის დღე საქართველოს ყველა მოქალაქის, სრულიად საქართველოს ერთობის ჭეშმარიტი დღესასწაულია. ნავარაუდევია თბილისობის თანამდევი საშემოდგომო ვაჭრობების საერთაშორისო ბაზრობად გადაქცევა.

სახალხო დღესასწაული თბილისობა გაიმართება 1996 წლის 26-27 ოქტომბერს.

წლეულს დღესასწაულის მაღალორგანიზებულ დონეზე მოსაწყობად საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით თბილისის მერიას სახელმწიფო კანცელარიასთან ერთად დაევალა მომზადოს დღესასწაულის პროგრამა, განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში სადღესასწაულო ვაჭრობის, საზეიმო რიტუალებისა და სპორტული სანახაობების მოსაწყობად, შესაბამის სამსახურებ ერთად მომზადოს წინადადებ ნი საქართველოსა და მის ფ რგლებს გარეთ მცხოვრები გ ჩენილი პიროვნებებისათვის თ ლისის საპატიო მოქალაქის წოდ ბის მინიჭების შესახებ.

შეიქმნა თბილისობის მომ ბი საორგანიზაციო კომიტეტ ხელმწიფო მინისტრის ნიკო ლ კიშვილის თავმჯდომარეობით. მიტეტში შევიდნენ აფხაზეთ და აჭარის მინისტრთა საბჭოე ხელმძღვანელები, მხარეებში ს რთველოს პრეზიდენტის სახე წიფო რწმუნებულები, სხვა პა ხისმგებელი პირები.

მმართველობის ადგილობ ორგანოებს დაევალათ უზრუ ლყონ თბილისობის დღესას ლში რაიონების მშრომელებ ხელმწიფო მეურნეობისა და როფირმების მონაწილეობა, ფლის მეურნეობისა და კვებ მრეწველობის სამინისტროს ერთად ორგანიზაცია გაუწიონ ფლის მეურნეობის პროდუქც შემოზიდვას დედაქალაქში ს მოდგომო ბაზრობების გასამართ ვად.

საქართველოს კულტურის მინისტრო, შემოქმედებითი კავ რები აქტიურად იმონაწილე თბილისობის დღესასწაულის ნახაობით მხარის მომზადებ უზრუნველყოფენ მის მაღალ ტვრულ დონეზე შესრულებას.

საქართველოს ტელევიზიის რადიომაუწყებლობის კორპო ცია, სხვა საინფორმაციო ს ლებები ფართოდ გააშუქებენ დღესასწაულო ღონისძიებებს.

მეტროპოლიტენს—განსაკუთრებული თანადგომ

საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებარე ობიექტებზე გადაუდებელ ავარიასაწინააღმდეგო სამუშაოთა შესრულების შესახებ, მძიმე ავარიული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად.

ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულებაში შექმნილი რთული ვითარების გამო პრეზიდენტის განკარგულებით ს ხელმწიფო საწარმო „თბილ რომშენს" გადაუვადდა ყველ ხის გადასახადი ბიუჯეტის რჯზე შესრულებული ავარია წინააღმდეგო სამუშაო სათვის, ამ სამუშაოთა შ ლების მომენტიდან მათი დ ბულების ქ. თბილისის ბიუჯ დან სრულ ანაზღაურებამდე

რთველი —

ვინც ვაზს მოუარა, ბარაქიანი მოსავალი ექნება



ყვარლელმა მევენახეებმა წლეულს ვენახებს კარგად მოუარეს, ძირითადად თავის დროზე შეწამლეს ვაზი და ნიადაგიც აგროწესების დაცვით დაამუშავეს, ამიტომაც მოსავალსაც ხავიანი პირი უჩანს, რთველის დაწყებისთვის ყველა მოსამზადებელი სამუშაო უკვე შეასრულეს. შეიძინეს ინვენტარი, მოიმარაგეს საწვავი.

გუშინ რთველი დაიწყო ყვარლის რაიონის საზოგადოებრივ სექტორში. ყურძნის კრეფა მალე კერძო სექტორშიც გაიშლება. ბუნებრივია, ვინც ვაზს კარგად მოუარა, რთველიც ბარაქიანი ექნება.

სულ რესპუბლიკაში დღეისათვის 94336 ჰექტარი ვენახი ირიცხება. მათ შორის კახეთის რეგიონში 57 298 ჰექტარი. ქართლში — 12647, სამცხე-ჯავახეთში — 99, დასავლეთ საქართველოში — 2414, თბილისში — 47 ჰექტარი.

წლეულს რესპუბლიკაში ყველა კატეგორიის მიხედვით (სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და მოსახლეობა) მოსალოდნელია აწარმოონ 150 ათას ტონამდე ყურძენი.

კახეთის რეგიონში დამზადდება 78, ქართლის რეგიონში —6, დასავლეთ საქართველოში 16 ათასი ტონა ყურძენი.

მივიღებთ დაახლოებით 6,5-7 მლნ დეკალიტრ ღვინო-მასალას.

ღვინის ქარხნები საკუთარი ძალებით 24 ათასი ტონის შესყიდვას ვარაუდობენ, ყურძნის ჩამბარებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება 11 ტონის, ხოლო ინვესტორების მეშვეობით — 15 ათასი ტონის გადამუშავებაზე. დარჩენილი 50 ათასი ტონა ყურძნის შესყიდვისა და გადამუშავებისათვის საჭიროა მოიძებნოს საკრედიტო რესურსები.

წლეულს ყურძნის მიღება-გადამუშავება გადაარჩენს ვენახს ამოძირკვისაგან და შეგვინარჩუნებს ვაზის ფართობებს. გლეხკაცს დროულად აუნაზღაურდება შრომის საფასური და გადაწყდება სოფლად სოციალურ პრობლემათა უმეტესობა. ნიშანდობლივია, რომ 1985 წელთან შედარებით ვენახის ფართობი საქართველოში 34 ათასი ჰექტარით შემცირდა და 1996 წელს 94 ათასი ჰექტარი შეადგინა, ჰექტარი ვენახის გაშენება ამჟამად 11 ათასი ლარი ჯდება. ყურძნის გადამმუშავებელი ქარხნებიდან 72-ს, ანუ საერთო რაოდენობის 83 პროცენტს არა აქვს ბანკის სესხების ვადაგადაცილებული დავალიანება, ეს ქარხნები მზად არიან საკუთარი შესაძლებლობით ყურძნის შესასყიდად, ხოლო მიზნობრივი კრედიტის გამონახვის შემთხვევაში აუცილებელია მთელი თანხა წლევანდელ სეზონში მოწეული ყურძნის სრულად შესყიდვას მოხმარდეს.

ნაზი იმნაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№183. ოთხშაბათი, 11 სექტემბერი, 1996 წელი.



კეთილი გზასავალი „პარლამენტს"

სულითა და გულით მინდა მივესალმო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთელ კოლექტივს. მოხარული ვართ, რომ გაზეთი ბოლო დროს გააქტიურდა, გახდა ბევრად უფრო დინამიური, ცოცხალი.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საპარლამენტო გვერდის გახსნა თქვენი გაზეთის ფურცლებზე. ვინაიდან დარწმუნებული ვართ, რომ ამ გვერდზე ასახული მასალები დაეხმარება გაზეთის ათასობით მკითხველს მიიღოს რეალური ინფორმაცია საკანონმდებლო საქმიანობის თაობაზე.

გისურვებთ წარმატებას და ნაყოფიერ თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტთან.

ზურაბ ჟვანია,
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

ჩვენი თხოვნით

პრეზიდენტის რეპლიკა

საშემოდგომო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე ოპოზიციამ უსაყვედურა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ პარლამენტის მიერ საგაზაფხულო სესიაზე მიღებული კანონების დიდი უმრავლესობა საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივებით არის შემოსული, ასეთ ინიციატივას „ზღვარგადასული" უწოდა.

რედაქციამ სთხოვა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს შეეფასებინა ასეთი კრიტიკა.

საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ კანონშემოქმედებით პროცესში პრეზიდენტის უფლება-მოსილებანი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, კერძოდ: 67-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და თუ პარლამენტის მიერ საგაზაფხულო სესიაზე მიღებული კანონების უმეტესობა წარმოდგენილია პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით, ეს პრეზიდენტის მიერ ამ უფლების ეფექტიან გამოყენებაზე მეტყველებს.

როგორც მსოფლიო ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, საკანონმდებლო აქტების მომზადებაში აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული კანონპროექტები ყოველთვის მეტია, ვიდრე პარლამენტის მიერ საკუთარი ინიციატივით მიღებული საკანონმდებლო აქტები. ამიტომ ჩვენთან უჩვეულო და „ზღვარგადასული" არაფერი ხდება. და ეს არც პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ხელისუფლების მითვისებაა.

ამ საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ჯონი ხეცურიანის ვრცელ განმარტებას შემოგთავაზებთ მომავალ კვირას, გაზეთის მომდევნო ნომერში.

ფრაქციის ლიდერი

ლანა ღოღობერიძე:

„გამჭვირვალეობის მომხრე ვართ!"

მოსწონს ეს ტერმინი ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარეს და ამბობს — ყველაფერი გამჭვირვალე და ნათელი უნდა იყოს: რას ვაკეთებთ, რაზე ვფიქრობთ, რა გვინდა. რადგან მოქალაქეთა კავშირი პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენს — ეს ნიშნავს, რომ ჩვენს თვალთახედვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, ამიტომ ყველა უნდა ხედავდეს და იცნობდეს ჩვენს საქმიანობას.

ქალბატონი ლანა პოლიტიკაში ხელოვნებიდან მოვიდა, თუმცა ამ სარბიელზე, რომელსაც მოგვიანებით ეროვნული ეწოდა, იგი ჯერ კიდევ სასკოლო ასაკში ჩაება. ხელნაწერ ჟურნალს უშვებდნენ უნივერსიტეტში სწავლის დროს ლანა ღოღობერიძე, რეზო თაბუკაშვილი, რამაზ პატარიძე, რეზო თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, ზურაბ კაკაბაძე, — მართალია, ჟურნალი ლიტერატურული ხასიათისა იყო, მაგრამ სულისკვეთება და მიზანი ქართული სულის დამკვიდრება, თავისუფლების წყურვილი გახლდათ. ჟურნალი ფარულად კეთდებოდა, რამაზ პატარიძე წერდა ხელით, ხელისუფლებას რომ გაეგო მისი არსებობა, ცუდი დღე დაგვადგებოდა.

დისიდენტი არასოდეს ვყოფილვარ, ამბობს ქალბატონი ლანა -- თუმცა ქართული კინო თავისი არსით, არასოდეს ყოფილა ე.წ. „საბჭოთა", პრაქტიკულად, თავიდანვე დისიდენტური იყო. აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა 8-9 აპრილიდან დავიწყე, თითქმის ყველა აქციაში ჩემი ხალხის გვერდით ვიყავი და თუ 9 აპრილის ღამეს ხელკეტი არ მომხვდა, ან არ მოვიწამლე, ეს მხოლოდ უფლის წყალობა და იღბალია.

სკოლის დამთავრების შემდეგ ლანა ღოღობერიძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, შემდეგ ასპირანტურაში. დაიცვა დისერტაცია, მოამზადა მონოგრაფია უიტმენის შესახებ, გამოსცა მისი პოეზიის თარგმანები. 1958 წელს დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი. გადაღებული აქვს 9 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და 3 დოკუმენტური ფილმი. მრავალი საერთაშორისო პრემიის, მათ შორის სანრემოს, ვენეციის, ბერლინის, ტოკიოს საერთაშორისო კინოფესტივალების პრემიების ლაურეატია.

1992 წელს და შემდეგ — 1995 წელს, არჩეულია საქართველოს პარლამენტის წევრად, წინა პარლამენტში იყო ფრაქცია „ლიბერალების" თავმჯდომარე. ამჟამად ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე და ფრაქციათა კოალიციის ლიდერია.

1988 წლიდან არის ევროპის კულტურის საზოგადოების წევრი. შარშან აირჩიეს ამ საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად. 1995 წელს ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა დააჯილდოვა „ღირსების" ინტერნაციონალური დიპლომით კულტურის დარგში „იმ განსაკუთრებული წვლილისათვის, რომელიც მან შეიტანა მსოფლიო საზოგადოებრიობის კულტურულ საგანძურში".

1995 წელს დაისტამბა ამერიკელი, ინდოელი, ფრანგი და რუსი პოეტების მისეული თარგმანების წიგნი — „უცხოური პოეზია ქართულად".

9 აპრილის შემდეგ გერმანია — „ობერჰაუზენის" საერთაშორისო კინოფესტივალზე თავმჯდომარედ მიიწვიეს. მაგრამ ქართველი კინორეჟისორი მხოლოდ ამ მისიით არ შემოფარგლულა. 16 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჟურნალისტთა სამსჯავროზე 9 აპრილის მოვლენების ამსახველი ვიდეოფილმები აჩვენა, თვითონ ისაუბრა, როგორც თვითმხილველმა და ალაპარაკდა კიდეც მსოფლიოს პრესა თბილისის მოვლენებზე.

რას ნიშნავს მისთვის ფრაქციის თავმჯდომარეობა? როგორ ხედავს მის სამომავლო როლს?

— ასეთი დიდი ფრაქციის ხელმძღვანელობა და თანაც ასეთ რთულ პერიოდში უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს. ფრაქცია ცოცხალი ორგანიზმია, სულ სხვადასხვა ინდივიდებისაგან შემდგარი; ყველას თავისი ხედვა აქვს მოვლენებისა, თავისი გამოცდილება, თავისი მიზნები. ჩვენ უნდა გამოვავლინოთ ყოველი დეპუტატის ინდივიდუალობა და შესაძლებლობები. ამავე დროს არ დავკარგოთ საერთო მიზანი, ანუ ის ძირითადი, რის გამოც ხალხმა მოგვცა ხმა. თქვენ იცით, ჩვენ მუდმივად ყურადღების ცენტრში ვართ, გარშემო გაუთავებელი ლაპარაკია ფრაქციის მოსალოდნელ დაშლაზე, მაგრამ როგორც ხედავთ, ეს არ ხდება. მე ვფიქრობ — პირიქით, თანდათან ნამდვილად შეკრულ გუნდად ვყალიბდებით.

როგორც ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქცია პარლამენტის მთელი კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის პასუხსაც ძირითადად ჩვენ ვაგებთ, თუნდაც იმიტომ, რომ კომიტეტის თავმჯდომარეთა უმეტესობა მოქალაქეთა კავშირის წევრები არიან.

ფრაქციაში ხშირად იმართება მწვავე კამათი, საბოლოოდ მკაფიო აზრი გამოიკვეთება ხოლმე და იმას ვეთანხმებით.

აქტიურად ვთანამშრომლობთ ოპოზიციასთან. საწინააღმდეგო აზრის პატივისცემა და მისი გათვალისწინება ჩვენი მსოფლმხედველობის საფუძველია. საერთოდ, ის ფაქტი, რომ პარლამენტში სულ რამდენიმე პარტიაა, დასავლური ტიპის პარლამენტარიზმის განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

ფრაქციისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. ჩვენი მიზანია — მხოლოდ როგორც საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობამ, ქვეყნის სასარგებლოდ განვახორციელოთ კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებისადმი, თუ აუცილებელი იქნება — შევინარჩუნოთ დისტანცია. კონტროლი უსათუოდ დაპირისპირებას კი არა, სიფხიზლესა და პრინციპულობას ნიშნავს. დარწმუნებული ვართ, რომ გვაქვს სწორი პოლიტიკური კურსი, ქვეყნისათვის აუცილებელი ეკონომიკური პროგრამა, რომელმაც ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს. ჩვენ ქვეყნის პრეზიდენტის თანამოაზრენი და მისი პოლიტიკის განმახორციელებლები ვართ.

— ახლახან გამართული მოქალაქეთა კავშირის ფორუმი სოციალური საკითხების განხილვას დაეთმო, კონკრეტულად რა ღონისძიებები დაისახა, და საერთოდ თქვენი პარტია როგორ აპირებს წინასაარჩევნო პროგრამის „ცნობილი" დაპირების შესრულებას. კერძოდ, მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას?

— ჩვენი პოლიტიკა მიზნად ისახავს დასაქმების პირობების შექმნას. ეს მუშაობა მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს. ეს არის კრედიტების გამოყოფით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობა, რაც დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილებს შექმნის. ასევე იმ სამუშაო ადგილების ლეგალიზაცია, რომელიც დღეს ჩრდილოვან ეკონომიკას წარმოადგენს. შესაბამისად ხდება იქიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრა და ამოღებული თანხები საკრედიტო ფონდს შეავსებს. ასევე, უამრავი სამუშაო ადგილი შეიქმნება საქართველოში სატრანზიტო დერეფნის იდეის განხორციელებასთან ერთად. გლეხი - მესაკუთრეც, რომელსაც სახელმწიფო ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის მიწის დასამუშავებლად — ჩვენი დასაქმების პოლიტიკის ერთ-ერთი საფუძველია. ასე რომ შეიძლება ითქვას, მუშაობა ამ მიმართულებით დაწყებულია და ეს სასიკეთო ტენდენციები უკვე მკვიდრდება, თანაც ჩვენ სამუშაო ადგილების რაოდენობა 2000 წლისათვის განვსაზღვრეთ და არ გვითქვამს რომ დღესვე გამოვძებნიდით.

— საქართველოს პარლამენტმა, არდადაგების შემდეგ მუშაობა განაახლა. რას მოელით ახლანდელი სესიისაგან და თქვენი აზრით ზემოთ ხსენებულ სოციალურ პრობლემებთან ერთად გადაუდებელ გადაჭრას კიდევ რა საკითხები მოითხოვს?

— საქართველოსათვის ყველაზე მტკივნეული მაინც აფხაზეთის პრობლემაა. ამ რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ხმა, რომ არძინბა არჩევნების დანიშვნას აპირებს. თუ ეს ფაქტი დადასტურდა, ჩვენი რეაქცია ძალიან მკვეთრი იქნება. ყველა საერთაშორისო ნორმების თვალსაზრისით დაუშვებელია არჩევნების ჩატარება ტერიტორიაზე, საიდანაც განდევნილია ძირეული მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ვინც ამას აპირებს, მას წინასწარ ფალსიფიკაცია აქვს განზრახული. და თუ ამგვარი არაკანონიერი არჩევნები მაინც შედგება, ჩვენ, ჩვენის მხრივ, ჩავატარებთ არჩევნებს დევნილ მოსახლეობაში — საქართველოსა და რუსეთში, — და როგორი იქნება საბოლოოდ ამგვარი არჩევნების შედეგები, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს.

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ევროპული ინტეგრაციის პროცესებში ჩაბმა. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოსათვის ევროსაბჭოში სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭება. ევროსაბჭო საერთო ევროპული სახლის მოსაცდელი ოთახია. ამ ოთახში ჩვენ უკვე დავსახლდით, მაგრამ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი იმისათვის, რომ ამ კეთილმოწყობილი და მშვენიერი სახლის სრულუფლებიანი ბინადარნი გავხდეთ. ამისათვის კი სამი ძირითადი მოთხოვნა უნდა დავაკმაყოფილოთ. ეს მოთხოვნებია: დემოკრატიული პლურალიზმი, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა. ვფიქრობ, რომ პლურალიზმის თვალსაზრისით ჩვენ სერიოზული ნაბიჯები გვაქვს გადადგმული. რეალური უფლებები აქვს ოპოზიციას. პარლამენტში, პარლამენტს გარეთ მოქმედებს რადიკალური ოპოზიცია, მართლაც სრულიად თავისუფალია პრესა. ამ კონტექსტით მინდა გულისტკივილი გამოვხატო იმის გამო, რომ დღეს არ მოქმედებს „რუსთავი — 2". სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ არავითარი პოლიტიკური ქვეტექსტი მის დახურვას არ ახლდა, პირიქით, ჩვენ ყოველმხრივ მომხრე ვიყავით ამ ახალგაზრდული და საინტერესო გადაცემების არსებობისა. იმედი მაქვს, რომ გამონახავს „რუსთავი — 2"-ის აღდგენის კანონიერი საშუალება.

უფრო რთული მდგომარეობაა კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში მოქალაქე დაუცველია. ამ მხრივ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ სასამართლო რეფორმას, რომელიც დაიწყო საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნით. ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობს რეფორმისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნის თვალსაზრისით და მისი მიზანია მოქალაქის დაცვისათვის ბევრად უფრო მყარი გარანტიების შექმნა, ვიდრე დღეს არსებობს სამოქალაქო კოდექსით.

ქალბატონი ლანა ქართული პრესის საქმიანობაზე შეჩერდა. პრესის თავისუფლება მისთვის წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი პრინციპია, დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი მონაპოვარი. თვლის, რომ ბოლო წლებში ქართული პრესის ფურცლებზე ბევრი საინტერესო და ნიჭიერი ჟურნალისტი გამოჩნდა. ამავე დროს აწუხებს ის ტენდენცია, რომელიც კვლავ მკვიდრდება ქართულ პრესაში — პიროვნების ლანძღვა-გინება და შეურაცხყოფის ტენდენცია. დაუშვებელია, რომ საზოგადოებამ უფრო შეახვიოს უდიერობას, უხამსობას, ეს დამღუპველია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის. თავისუფალ სამყაროში ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის უზარმაზარი ჯარიმებია დაწესებული. ჩვენთანაც პრესასთან ურთიერთობა კანონმა უნდა დაარეგულიროს. მანამდე კი, თვითონ ჟურნალისტებმა უნდა დაიცვან ადამიანის უფლებები: „მე დარწმუნებული ვარ, ჟურნალისტთა უდიდესი ნაწილი წინააღმდეგია ამგვარი უზნეობისა და მგონია, რომ ყველაზე მეტად მათ ხელეწიფებათ თავის ამქარში წესრიგის დამყარება".

ქალბატონი ლანა პრესასთან მჭიდრო ურთიერთობის მომხრეა. იგი შემოქმედია და კარგად ესმის შემოქმედი ადამიანებისა. არ ღალატობს თავის პროფესიას. ამჟამად მომავალი ფილმის სცენარზე მუშაობს. სცენარის დასრულების შემდეგ კი ფილმის გადასაღებად საჭირო თანხების მოზიდვას შეუდგება. „ვფიქრობ, ეს კარგახანს გასტანსო" — ამბობს იგი.

ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარეს სჯერა, რომ საქართველო შემდგარია რეალური დამოუკიდებლობის, დემოკრატიის დამკვიდრების და ევროპასთან ინტეგრაციის რთულ და ძნელად სავალ გზაზე. „მივდივართ ბორძიკით, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ უსათუოდ გავალთ შარაგზაზე, სადაც დიდი, აყვავებული და სამართლიანი ქვეყნები მიაბიჯებენ".

ბექა ჭედია.

ქრონიკა

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა.

ზურაბ ჟვანია უნივერსიტეტის რექტორს როინ მეტრეველს ესაუბრა უნივერსიტეტის პრობლემებზე. ითქვა, რომ დღეისათვის აქ 70 ქართული და 10 რუსული კათედრაა. მისაღები გამოცდების შედეგად ჩაირიცხნენ უცხოელი სტუდენტები საბერძნეთიდან, ამერიკიდან, თურქეთიდან. როგორც ბატონმა ზურაბმა განაცხადა, ისეთი ცოდნის სავანის კარი, როგორიც თბილისის უნივერსიტეტია, ფართოდ უნდა გაიღოს მეზობელი ქვეყნებისათვის. ინგუშეთის რესპუბლიკა, განსაკუთრებით ითხოვს კადრების მომზადებას.

პარლამენტის თავმჯდომარემ დაათვალიერა უნივერსიტეტის მეორე კორპუსი, რომელიც ხანძარმა დააზიანა და მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. მოინახულა უნივერსიტეტის ეზოში მიქცეული დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია. ეკლესიაში ლოცვა აღავლინეს მამა მიქაელმა, მამა ბასილმა და ფოთის ეპისკოპოსმა მეუფე დანიელმა, დალოცეს სტუდენტები, მასწავლებლები, დიდი მადლობა გადაუხადეს პარლამენტის თავმჯდომარეს დახმარებისათვის და სამახსოვროდ გადასცეს დავით აღმაშენებლის ხატი.

შეხვედრა ელჩთან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ელდარ შენგელაიამ მიიღო რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი.

იმსჯელეს ორმხრივი ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის რუსეთის ფედერაციის სუბიექტებთან, კერძოდ, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებთან საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა ურთიერთობის პერსპექტივებზე. რაშიც ბატონმა ვლადიმერ ზემსკიმ ქართველ პარლამენტარებს მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა.

მხარეებმა განიხილეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, მათ შორის ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება.

ასევე ილაპარაკეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მომავალ ვიზიტზე რუსეთის ფედერაციაში.

საქართველო გახდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არის მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის სამართლებრივი საფუძველი, რომელიც დახმარებას უწევს ქვეყნებს განსაზღვრონ და განახორციელონ შიდა სავაჭრო კანონმდებლობა. ამასთანავე ორგანიზაცია ხელს უწყობს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას კოლექტიური დისკუსიების, მოლაპარაკებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე — განაცხადა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენელმა შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის, ამერიკული ორგანიზაცია უსაიდ-ის წარმომადგენლები და პარლამენტის საფინანსო-შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეები.

შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხეილ უკლებამ ვრცლად ისაუბრა იმ მუშაობის შესახებ, რაც საქართველომ განახორციელა 1994 წლიდან, რათა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მეთვალყურის სტატუსი მიეღო. დღეს კი ყველაფერი კეთდება, რომ საქართველოს მეთვალყურის სტატუსი წევრობის სტატუსით შეიცვალოს. ამისათვის საქართველოს დიდ დახმარებას უწევენ მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და ამერიკული ორგანიზაცია უსაიდი. მუშაობის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ეკონომიკის, იუსტიციის, ვაჭრობის სამინისტროები, საბაჟო და საგადასახადო უწყებები.

მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია საქართველოს დაეხმარებიან მემორანდუმის მომზადებაში, რათა ამ დოკუმენტის საფუძველზე დაჩქარდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესი — განაცხადა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ქალბატონმა სინ დილარამ. ამისათვის აუცილებელია შეიცვალოს საკანონმდებლო სისტემა. პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონები სახელმწიფო ვაჭრობის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამომხმარებლო სფეროს შესახებ. აუცილებელია დაჩქარდეს ეკონომიკური რეფორმის პროცესი, მომზადდეს საბაჟო კოდექსი და შემუშავდეს ტარიფები.

პარლამენტის პრესსამსახური.

კვირის დღიური

პარლამენტის თავმჯდომარეს ხვავრიელი საშემოდგომო სესიისა სჯერა

საშემოდგომო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე სამუშაო გეგმა დამტკიცდა, რომლის მიხედვით, დეპუტატებმა 34 პლენარულ სხდომაზე 111 კანონპროექტი, შესაბამისი ნორმატიული აქტი უნდა განიხილონ და მიიღონ. ზოგი ეჭვობს: მოასწრებენ? ზოგიც დარწმუნებულია, რომ მოასწრებენ. უპირველესად, ნაყოფიერი მუშაობისა პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას სჯერა, და თუ საპარლამენტო კვირის შედეგებით ვიმსჯელებთ, არცთუ უსაფუძვლოდ. კვირის სამუშაო გეგმა თითქმის ამოწურულია.

იყო კამათი ღრმა, სერიოზული, ზომიერი, კონსტრუქციული და მიზანმიმართული. განიხილებოდა და პირველი, მეორე, მესამე მოსმენით მიღებულია კანონპროექტები: „სახელმწიფო საიდუმლოების", „სპორტის", „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის" (გადაიდო დამატებითი კონსულტაციებისათვის), „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე", „გირავნობის", „გარემოსდაცვითი ნებართვების", „სანაშენე მეცხოველეობის", „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", „საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის", „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების", „სტანდარტიზაციების", „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის", „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის", „საქართველოს მოქალაქეობის".

გათვალისწინებულია პრეზიდენტის შენიშვნები „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის" კანონპროექტში.

იმსჯელეს ავსტრიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დამტკიცების თაობაზე. „პარტნიორობისა და თანამშრომლობის, ერთის მხრივ, ევროპის გაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ საქართველოს შორის" შეთანხმების რატიფიცირებაზე, „საქართველოსა და რუმინეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის" ხელშეკრულების რატიფიცირებაზე, „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში შეთანხმების" რატიფიცირებაზე.

კანონი ენაზე კბილის დაჭერას მოითხოვს

კომენტარი

აქვს საქართველოს საიდუმლო? ძნელი სათქმელია, რადგან დღეს თითქმის ყველამ ყველაფერი იცის, იცის და ლაპარაკობს. სულერთია სად, ვისთან, როდის. ზოგს ჰგონია, რაც უფრო მეტს იყვირებს, სხვადასხვა წყაროთი შეტყობილს. რაც უფრო შორს გააგონებს, უკეთესად წავა ჩვენი საქმე. ვისაც საიდუმლოების გაცემის სავალალო შედეგზე წარმოდგენა არა აქვს, გასაგებია, რომ ამას შეუგნებლად სჩადის, მაგრამ ვისაც კარგად ესმის და სწორედ ამიტომაც ლაპარაკობს ტრიბუნიდან თუ ესაუბრება ჟურნალისტებს, ვითომ მიამიტურად და ამბობს იქ, საიდანაც, იცის, რომ აუცილებლად გაჟონავს? პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს! არ იყო აქამდე ეს პასუხისმგებლობა. ახლა კი პარლამენტმა განიხილა და პირველი მოსმენით მიიღო „სახელმწიფო საიდუმლოების" კანონი. სახელმწიფო საიდუმლოების ეფექტიანი საკანონმდებლო ბაზისა და სისტემის შექმნა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების, დემოკრატიის დამკვიდრების ერთ-ერთი წინაპირობაა.

კანონი ამკვიდრებს პრინციპულად ახალ სამართლებრივ სისტემასა და ნორმებს. მასში მკაცრად არის განსაზღვრული სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს უფლებამოსილებანი, როგორც საიდუმლოების შეკუთვნებასთან, ისე დაცვასთან.

კანონში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ წესდება საკუთრების უფლება სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეულ ინფორმაციაზე. იმის მიუხედავად, თუ ვინ არის სუბიექტი — სახელმწიფო, იურიდიული თუ ფიზიკური პირი. მაგრამ, ამასთან, საკუთრების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა კანონით შეზღუდულია.

კანონპროექტის პირველ მუხლში **ცნება სახელმწიფო საიდუმლოება** განმარტებულია: „საიდუმლო ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, ამ კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და სახელმწიფოს მხრიდან ექვემდებარება დაცვას.

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნების შეზღუდვაზეა საუბარი 33-ე მუხლში, კერძოდ, „პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების საკითხებზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია". იქვე წერია: „პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების წინასწარი კონტროლი დაუშვებელია". ე. ი. სახელმწიფო ინსპექცია სახელმწიფო საიდუმლოებას იცავს მხოლოდ შემდგომი კონტროლის გზით.

ჟურნალისტებმა კანონს დრაკონული უწოდეს. საიდუმლო იმან დაიცვას, ვისაც იგი ეკუთვნის. ჩვენი ფუნქცია ინფორმაციის გავრცელებაა, ეს კი დემოკრატიის პრინციპია.

საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

— ჩვენთან კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაშვებულია შეზღუდვები. სასურველია „სახელმწიფო საიდუმლოების" კანონი შეესაბამებოდეს მას. კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განისაზღვროს ჩვენი ინსპექციის ფუნქციაც. მაგალითად დღეს შვედეთი მიჩნეულია პრესის თავისუფლების ყველაზე აღიარებულ დემოკრატიულ ქვეყნად, მაგრამ იქაც მოქმედი კანონი ითვალისწინებს შეზღუდვებს. იმ მიზეზთა ნუსხა, რომლებიც „პრესის აქტის თავისუფლებაში" მოცემული და რომელთა საფუძველზეც შეიძლება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლების შეზღუდვა, უფრო დაწვრილებით „საიდუმლოს აქტში" განიხილება და 16 თავსა და 100-ზე მეტ მუხლს მოიცავს. ამ პუნქტებში აღნიშნულია იმ ინტერესთა სფეროები, რომელთა შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს შეიცავს, აქვეა ის მაქსიმალური ვადები, რომელთა განმავლობაში უნდა იყოს დაცული ინფორმაციის საიდუმლოება...

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე რეზო ადამია:

— კანონს ცენზურასთან ნურავინ გააიგივებს. მასში კონსტიტუციური ნორმა დაცულია. ყოველგვარი წინასწარი კონტროლი აკრძალულია, მაგრამ ეს, ამავე დროს, არ ნიშნავს, რომ არანაირი კონტროლი არ არსებობს. ვინც ამბობს, რომ დრაკონული კანონია და შეიძლება მას პრესის თავისუფლება შეეწიროსო, მაპატიონ და კანონი არ წაუკითხავთ. იგი საქართველოს ყველა მოქალაქეს ავალდებულებს. ინფორმაცია, რომელიც გასაიდუმლოებულია და ამის ნიშნად აღევს მკაფიოდ გამოხატული გრიფი ან აწერია „სრულიად საიდუმლო", საჯაროდ არ უნდა გამოქვეყნდეს, რადგან მისი გამოქვეყნება ქვეყნისათვის საზიანოა. თუ ჟურნალისტები საქართველოს მოქალაქეები არიან, ეს პრინციპი უნდა გაიგონ და დაიცვან, მაგრამ თუ ფიქრობენ, რომ მოქალაქეები მხოლოდ სახელმწიფო მოხელეები არიან, რა თქმა უნდა, შეუძლიათ განაცხადონ, რომ ამ პრინციპის დაცვა მათ არ ევალებათ. მაგრამ ისინი ისეთივე პასუხისმგებლები არიან სახელმწიფოს ინტერესებისათვის, როგორც ყველა სხვა მოქალაქე, მათ შორის თანამდებობის პირები.

კანონი ზუსტად განსაზღვრავს რა სახის ინფორმაცია შეიძლება გასაიდუმლოდეს, რომლის ძირითადი პრინციპია: ზიანი არ მიადგეს სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. თუ ეს ცნებები ჟურნალისტებისათვის არაფერს ნიშნავს, მაშინ ყოველგვარი განმარტება ფუჭია. ის პრინციპი, რომელსაც ჟურნალისტები ასახელებენ, — თუ მოიპოვე ინფორმაცია, უნდა გამოაქვეყნო კიდეცო, — მხოლოდ ამერიკაში მოქმედებს, არცერთ ევროპულ ქვეყანაში კი არა. მით უფრო, ჩვენს პირობებში მყოფ ქვეყანას არ არგებს იგი. ამიტომაც, სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ თანამდებობის პირს, რომელიც საშუალებას მისცემს ჟურნალისტს, მიიღოს საიდუმლო ინფორმაცია და ასევე პასუხისმგებლობა დაეკისრება ჟურნალისტს, რომელმაც იცოდა, გინდ გრიფით, გინდ წარწერით, რომ იგი გასაიდუმლოებული იყო და შეგნებულად გამოაქვეყნა.

მართლაც, მტერი უნდა იყო შენი ქვეყნისა, იცოდე, რა ზიანს მოიტანს გამხელილი საიდუმლო და მაინც თქვა, მაგრამ ვაი, რომ ზოგიერთი იმ ზიანს ჯერ კიდევ, პირიქით, ქვეყნისთვის სასიკეთოდ მიიჩნევს?

ზოგიერთი პარლამენტარის ლექსიკონი

ამბობენ	უნდა თქვან
ცალსახა, ცალსახად —	ერთმნიშვნელოვნად, ნათლად, მკაფიოდ...
გააჩნია —	არ იხმარება, რადგან მხოლოდ უარყოფითის გამოხატულებაა: სწორია—არ გააჩნია.
დებატები —	კამათი.
დავსვათ კენჭისყრაზე —	კენჭი ვუყაროთ.
წავიმუშავებთ —	ვიმუშავებთ.
ადგილი აქვს —	რუსულის კალკია. ასე არ იხმარება. წინადადებაში შესატყვისი უნდა მოეძებნოს. მაგალითად: ადგილი აქვს კორუფციას კი არა, გავრცელდა კორუფცია, არის კორუფციის შემთხვევები და ა.შ.

დროებით კომისიებში

ახსნა - განმარტებების ჩამორთმევა გრძელდება

თურქმენეთის რესპუბლიკიდან მიღებული გაზის საფასურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებისა და განკარგულებების თაობაზე და მისგან გამომდინარე შედეგებზე გაგრძელდა მსჯელობა ამას წინათ საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებით საგამოძიებო კომისიაში გამართულ სხდომაზე.

აღნიშნულ საკითხზე და მასში ფინანსთა სამინისტროს მიერ დაშვებულ დარღვევებზე კომისიამ წლეულს, 12 ივლისს, ახსნა-განმარტება ჩამოართვა ფინანსთა მინისტრს დავით იაკობიძეს, ამ მოსმენისა და შეკრებილი მასალების ანალიზის საფუძველზე კომისია სხდომაზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფინანსთა სამინისტრომ, რომელსაც ევალებოდა სახელმწიფო-ფულადი სახსრების რაციონალურად გამოყენება, ვერ უზრუნველყო აღნიშნული სახსრების ხარჯვისადმი კონტროლი, რითაც სახელმწიფოს დიდი ზარალი მიადგა.

სხდომამ დაადგინა, რომ საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილების შესამუშავებლად დასკვნა განსახილველად გადაეცეს საპარლამენტო ფრაქციებს, ხოლო შეგროვილი მასალები და დასკვნა — საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი სამართლებრივი შეფასებისათვის. აღნიშნულ საკითხზე ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ საქართველოს ქონების მართვის მინისტრს ავთანდილ სილაგაძეს — საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 6 სექტემბრის №638 დადგენილების საფუძველზე განხორციელებული პრივატიზაციის პროცესში დაშვებულ შეცდომებზე, ხოლო ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების ყოფილ მინისტრს მურთაზ ზანკალიანს — 1993-95 წლებში საქართველოსა და თურქმენეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პროცესში დაშვებულ დარღვევებზე.

კომისია უახლოეს პერიოდში ახსნა-განმარტებებს ჩამოართმევს ზემოთ აღნიშნულ პროცესში მონაწილე სხვა პასუხისმგებელ, მაღალი თანამდებობის პირებსაც.

აფხაზურ მხარესთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთს, როგორც შუამავალს

გაიმართა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია უძღვებოდა.

განიხილეს საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის ინფორმაცია აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით მიღწეულ შეთანხმებათა ექსპერტიზის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ გუდაუთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ განვლილ პერიოდში აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური ხერხებით მოწესრიგების შესახებ ჟენევასა და მოსკოვში 1994 წლის 4 აპრილსა და 14 მაისს ხელმოწერილი დოკუმენტები არაერთხელ დაირღვა.

არ შესრულდა აღნიშნული დოკუმენტების უმთავრესი პირობა — იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა პირველ ეტაპად გალის რაიონში უსაფრთხო და უპირობო დაბრუნების თაობაზე, რაშიც აფხაზურ მხარესთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთს, როგორც შუამავალს. ითქვა, რომ გალის რაიონში დღესაც გრძელდება ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა, არის ძალადობის, ძარცვისა და მკვლელობის ფაქტები. ყოველივე ეს საქართველოს ხელისუფლებას აძლევს საშუალებას ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები ძალადაკარგულად გამოაცხადოს.

კომისიამ ჟენევასა და მოსკოვში აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური ხერხებით მოწესრიგების შესახებ ხელმოწერილი დოკუმენტები, იურიდიული ძალის არმქონედ ცნო. საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს.

პარლამენტთან

ბ ე რ ი კ ა ც ი

მას აქ ხშირად ვხედავ. უმეტესად პარლამენტის მუშაობის დღეებში. წვერგაბანჯგლულსა და თმააშლილს, გასაცოდავებულად ჩაცმულს. არც ლაპარაკობს, არც ყვირის, არც იცინის და არც იბღვირება. უბრალოდ, დაჟინებით აშტერდება მიმომსვლელებს. რამდენიმე წუთით თითქმის ყველა მოსაუბრე ჯგუფთან ჩერდება. არაფერს შეეკითხება; არც მას ეკითხებიან რამეს. თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ეხუროს და ვერ ხედავდნენ.

ამბობენ, მისი ერთადერთი ვაჟი კარგა ხნის წინათ ვიღაცას სახლიდან გაუყვანია და უკან აღარ მობრუნებულა, იმას დაეძებსო. იმასაც ამბობენ, შვილი არასოდეს ჰყოლია, ამოუჩემებია, — ასე მოხდაო, და მას შემდეგ ეძებს და ეძებსო.

თუ, მართლაც, ჰყავდა და დაუკარგავს, ტრაგიკულია ბერიკაცის ხვედრი. თუ არ ჰყოლია და აკვიატების მსხვერპლი გამხდარა, ესეც ტრაგედიაა, რა თქმა უნდა, მისთვის. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას. ორივე შემთხვევაში ბერიკაცი უბედურია და შვილის სახით იმედს დაეძებს.

„ობივატელები" წუხან

ყოველთვის დგანან პარლამენტთან „ობივატელები", სხდომებიდან გამოსულ ჟურნალისტებს თავიანთი ჭიის გასახარებელ შეკითხვებს გვაყრიან.

— დაჭამეს ხომ ერთმანეთი, დაჭამეს? — თითქოს სინანულით, მაგრამ აშკარად გამოხატული მოლოდინით შეკითხებოდა ხოლმე ერთი ქალბატონი წინა პარლამენტიდან გამოსულს.

— ძინავთ, ხომ ძინავთ? — ეკითხება დღეს იგივე ქალბატონი, ისეთივე მოლოდინით.

პრესკოქტეილი

პარლამენტში ყურმოკრული სიტყვა-თქმანი

გზაზე ხურჯინაკიდებული კაცი მიდიოდა. წინა თვალში სხვის ცოდვებს აგროვებდა, უკანაში — თავისასო.

* * *

პარლამენტარებზე ზემოდან ყურების უფლება ჟურნალისტების გარდა არავის აქვს და მათაც ეს, თვითონ დავუკანონეთო.

* * *

პრეზიდენტს რომ ქვეყანაზე ზრუნვაში ამოსდის სული, კარგად იციან მაგათ, მაგრამ სული ისე რომ არ ამოსდის (ღმერთმა დაიფაროს), როგორც თვითონ უნდათ, იმიტომაც სკდებიან გულზეო.

* * *

— ზის ეს ჩვენი იმანო სხდომებზე და არც ავს ამბობს და არც კარგს, არც იწონებს და არც აკრიტიკებს. პლურალიზმის მტერი არ ჰქვია ახლა მაგას?

— პლურალიზმის მტერი კი არა, უაზრო ჰქვია.

— მერე რა უნდა უაზროს პარლამენტში?

— ეგ მის ამომრჩევლებს ჰკითხე.

ჩანართს
უძღვება
რუსუდან ლორთქიფანიძე.

სასამართლო რეფორმის წინ

პოლემიკა

სასამართლო და პროკურატურა

არც ერთმანეთს გამორიცხავენ და არც ერთმანეთის საქმეს აკეთებენ

ახალი კონსტიტუციის საფუძველზე მიმდინარე სამართლებრივ რეფორმებს მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში. ამის თაობაზე გვესაუბრება გენერალური პროკურორის მოადგილე ალექსანდრე შუშანაშვილი.

— სასამართლო რეფორმამ რა ფუნქციებით დატვირთა პროკურატურა, რა ჰქონდა მას და რა აღარ აქვს?

— სასამართლო რეფორმა ჯერ არ განხორციელებულა და პროკურატურის დატვირთვა-განტვირთვაზე საუბარი, ალბათ, ცოტა ნაადრევია. სასამართლო რეფორმები ზოგს რომ წარმოუდგენია, ისე ჰაიჰარად არ ხდება. გასული საუკუნის სამოციან წლებში რუსეთში ჩატარებული სასამართლო რეფორმა თითქმის ოცი წელი მზადდებოდა. საუკუნეზე მეტია საფრანგეთში მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების რეფორმა მიმდინარეობს.

სამართალწარმოებაში შეტანილი ყოველგვარი ცვლილება რეფორმას არ წარმოადგენს. ზოგჯერ რეფორმის პრეტენზიით კანონმდებლობაში უაღრესად რეაქციული, ანტიდემოკრატიული დებულებებიც შედის.

სასამართლო რეფორმა ისეთი ცვლილება და სიახლეა, რასაც არსებითი ხასიათის დემოკრატიული ელემენტები შემოაქვს სამართალწარმოებაში, ამკვიდრებს კანონისა და მართლმსაჯულების უზენაესობას, აფართოებს პროცესის მონაწილეთა უფლებებს, ქმნის ჭეშმარიტების დადგენისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან გარანტიებს.

თავისთავად სასამართლო რეფორმა, სამართალწარმოების მოდელისა და წესის შეცვლა დიდ სასწაულს ვერ მოახდენს. გრიბოედოვის ჩაცკისა არ იყოს, მთავარია „ვინ არიან მოსამართლეები", ვის ხელშია და ვინ როგორ იყენებს მართლმსაჯულების მახვილს. ვერავითარი წესი და რეფორმა მექრთამე მოსამართლეს ვერ გააპატიოსნებს, უსამართლოს სამართლიანს ვერ გახდის, მხდალსა და ლაჩარს პრინციპულ და შეუპოვარ მსაჯულად ვერ აქცევს.

— მართალია, სასამართლო რეფორმა ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ კონსტიტუციამ ხომ განსაზღვრა ამ რეფორმის ძირითადი დებულებები? კონსტიტუციით სასამართლოსა და პროკურატურის ფუნქციები როგორაა განსაზღვრული?

— სასამართლო რეფორმის კონსტიტუციური საფუძვლების ავ-კარგიანობაზე ჩემი მოსაზრებები ერთხელ უკვე გამოვთქვი. ამის თაობაზე წერილობით მივმართე ბატონ პრეზიდენტს, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ ამ მეტად აქტუალური პრობლემით დაინტერესდებოდნენ პარლამენტი და მისი შესაბამისი კომიტეტები, მაგრამ ექვსი თვე გავიდა და ჯერჯერობით ინტერესი არავის გამოუჩენია. ყური მოვკარი, პარლამენტის სამდივნო აპირებს შექმნას, თუ უკვე შექმნა კომისია კონსტიტუციის გადასასინჯადო. რამდენად სწორია ეს ხმები, ვერ გეტყვით.

რაც შეეხება პროკურატურის სტატუსსა და კომპეტენციას, კონსტიტუციის 91-ე მუხლში იგი ასეა ჩამოყალიბებული: პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მოკვლევას, სასჯელის მოხდას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. აქვეა მითითებული, რომ პროკურატურა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა და მისი უფლებამოსილება, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. ასეთი კანონპროექტი უკვე მომზადდა, იგი მოიწონა სამართლებრივი რეფორმების სახელმწიფო კომისიამ და ხელი მოაწერა პრეზიდენტმა. კანონპროექტი უკვე პარლამენტშია წარდგენილი. ამ კანონპროექტში პროკურატურის უფლებები კონსტიტუციასთან შედარებით უფრო ფართოდაა წარმოდგენილი. მაგალითად, კონსტიტუციით პროკურატურას ევალება მხოლოდ სასჯელის მოხდისადმი ზედამხედველობა, კანონპროექტით კი გათვალისწინებულია როგორც სასჯელის, ისე დაკავებულთა მოთავსების, წინასწარი პატიმრობის და სხვა შეზღუდვის ადგილებში კანონის შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობა. ასევე, კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი სამოქალაქო სამართალწარმოებაში პროკურორის მონაწილეობის თაობაზე, კანონპროექტით კი პროკურორს ევალება სასარჩელო განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში, თუ დარღვეულია არასრულწლოვანის, სამხედრო მოსამსახურის, ინვალიდის და ზოგიერთი სხვა კატეგორიის პირთა უფლებები და თავისუფლებები, ან თუ სახელმწიფოს უფლებების დაცვის მიზნით შემოსულია შეტყობინება სახელმწიფო საკუთრების არამართლზომიერი განკარგვის ფაქტზე საქართველოს პარლამენტისაგან, საქართველოს პრეზიდენტისაგან, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოსაგან.

რამდენად კანონიერი და სამართლიანია ეს ნორმები, სხვა საკითხია. მთავარია, რომ კანონპროექტი გასცდა კონსტიტუციის ფარგლებს და გააფართოვა პროკურატურის უფლებამოსილება. ეს თუ დასაშვებია, მაშინ აზრი არ ჰქონია კონსტიტუციაში პროკურატურის უფლებამოსილების ამომწურავ განსაზღვრას. კონსტიტუციაში ან საერთოდ არაფერი არ უნდა თქმულიყო ამის შესახებ და ორგანულ კანონს გადაეწყვიტა ეს საკითხი, ან უნდა დათქმულიყო, რომ პროკურატურის სხვა უფლებამოსილებანი განისაზღვრება ორგანული კანონით.

არც კონსტიტუციაში და არც კანონპროექტში არაფერია ნათქვამი საპროკურორო საქმიანობის იმ დარგზე, რომელსაც საერთო ზედამხედველობა ეწოდება. ზოგს მიაჩნია, რომ ეს დარგი უკვე გაუქმებულია და საპროკურორო ზედამხედველობა არ უნდა ხორციელდებოდეს წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი, კონტროლისა და მართვის ორგანოების, იურიდიული პირებისა და თანამდებობის პირთა მიერ კანონების შესრულებაზე და მათ მიერ გამოცემული აქტების კანონთან შესაბამისობაზე. კანონი თუ ირღვევა ან უკანონო აქტი გამოიცემა, დაინტერესებულმა მხარემ მიმართოს სასამართლოს და იქ გაარკვევენ ყველაფერს, აცხადებენ ამ შეხედულების მომხრეები. ალბათ, თავის დროზე ასეც მოეწყობა ქვეყნის სამართლებრივი ცხოვრება, მაგრამ დღევანდელ მართლშეგნებისა და სილატაკის პირობებში ძალზე საეჭვოა ამ სისტემამ ეფექტიანად იმუშაოს.

ძალიან კარგად მესმის, რომ სასამართლო პროკურატურაზე დემოკრატიული დაწესებულებაა, რომ ჭეშმარიტების დასადგენად, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად და პიროვნების უფლებების დასაცავად იქ მეტი გარანტიებია, მაგრამ სასამართლო არ არის და არც შეიძლება იყოს კანონიერების ზედამხედველი ორგანო. სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას, იხილავს და წყვეტს კონკრეტულ საქმეებს. სასამართლოში სარჩელი თუ არ აღიძრა, მართლმსაჯულების მექანიზმი არ ამუშავდება. სასამართლო ვერც წინასწარ შემოწმებებს ჩაატარებს და ვერც კანონიერების დარღვევებს გამოავლენს. სასამართლო ვერ უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, ქვეყნის მასშტაბით კანონიერების ერთიან რეჟიმს, კანონების ერთიან გაგებას და გამოყენებას. დღევანდელ პირობებში კანონიერებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის გაუქმება კი არ არის საჭირო, არამედ მისი განმტკიცება და გაძლიერება, ამ ზედამხედველობის გავრცელება სახელმწიფო ხელისუფლების ყველა რგოლსა და ეშელონზე.

— რა დამოკიდებულება არის სასამართლოსა და პროკურატურას შორის, ხომ არ გამორიცხავენ ერთმანეთს ან ერთმანეთის საქმეს ხომ არ აკეთებენ?

— ეს ორი დამოუკიდებელი უწყებაა, ისინი არც ერთმანეთს გამორიცხავენ და არც ერთმანეთის საქმეს აკეთებენ. სასამართლოში პროკურორი არის თანასწორუფლებიანი მხარე. მას არავითარი საზედამხედველო ფუნქციები არ აკისრია და არც შეიძლება ჰქონდეს. სასამართლოს დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების ფუძემდებელი პრინციპია და როგორ შეიძლება პროცესის მონაწილე რომელიმე მხარე სასამართლოსადმი ზედამხედველობას ახორციელებდეს. ეს პოზიცია ძალიან მკაფიოდ დაიკავა ჩვენმა კონსტიტუციამ, რაც მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებად უნდა ჩაითვალოს. მართალია, კონსტიტუციის მიღებამდეც პროკურორი სასამართლოში არაფერს წყვეტდა, სასამართლოს აქტებს ვერც შეცვლიდა და ვერც გააუქმებდა, მაგრამ გარკვეული საზედამხედველო ფუნქციებით მაინც სარგებლობდა, აძლევდა დასკვნას სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილი საკითხების გამო, ამოწმებდა მისი მონაწილეობის გარეშე დადგენილი განაჩენის კანონიერებას, აჩერებდა სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულებას და ა. შ. იმ პერიოდში არც მართლმსაჯულება ხორციელდებოდა ნორმალურად. სასამართლოს პროკურორის მონაწილეობის გარეშეც შეეძლო სისხლის სამართლის საქმის განხილვა. საქმის განხილვაში მონაწილე პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც სასამართლო ვალდებული იყო განეგრძო საქმის განხილვა და გადაეწყვიტა საკითხი განსასჯელის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ. ამჟამად მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციით დაკანონებული პრინციპიდან გამომდინარე ყველა სისხლის სამართლის საქმის განხილვაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს პროკურორი და მის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში უნდა წყდებოდეს საქმის წარმოება. ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები თუ არ არის გამიჯნული და ბრალდებულისა და ბრალმდებლის გარეშე იხილება საქმე, არც მხარეთა თანასწორობაზე შეიძლება ლაპარაკი და არც შეჯიბრებითობაზე. სასამართლოს მიერ დაცვისა და ბრალდების ფუნქციების შეთავსება არის მართლმსაჯულობის გაყალბება და დისკრედიტაცია.

— წინასწარ გამოძიებაში სასამართლო რატომღა უნდა მონაწილეობდეს? კონსტიტუციით ხომ დადგინდა, რომ ჩხრეკა და დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით?

— წინასწარი გამოძიებისადმი სასამართლო კონტროლის შემოღება სასამართლო რეფორმის ძირითადი და ურთულესი საკითხია. საქმე ის არის, რომ კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. აშკარაა, რომ კონსტიტუციამ უპირატესობა მიანიჭა სამართალწარმოების ე. წ. ანგლოსაქსურ მოდელს, რომლის მიხედვით მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე უნდა იყოს აგებული როგორც სამსჯავრო, ისე წინასწარი გამოძიება. ეს ნიშნავს, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეს მინიჭებული აქვთ თანასწორი საპროცესო უფლებები და საშუალებები, ისინი პარალელურად აწარმოებენ გამოძიებას, ხოლო ნეიტრალური სასამართლო (მოსამართლე) აკონტროლებს მათ საქმიანობას, იხილავს მათ საჩივრებს, ამოწმებს მათი მოქმედებების კანონიერებას, აძლევს სანქციას ან თვითონ ატარებს მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებებს. თუ ამ მოდელის მიხედვით მოვაწყობთ წინასწარ გამოძიებას, ბუნებრივია, სასამართლო კონტროლს გვერდს ვერ ავუვლით. პროკურორი, რომელიც სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს და ბრალდების მხარეს წარმოადგენს, დაცვის მხარის პრეტენზიების განხილვისა და გადაწყვეტისას ვერ იქნება პირუთვნელი მსაჯული.

ბრალდებულისა და მათი ოჯახების უმრავლესობა, ფაქტობრივად, განიარაღებული აღმოჩნდება, ვერ გაუთანასწორდება, ვერ შეეჯიბრება ბრალდების მხარეს, ვერ დაიქირავებს კვალიფიციურ სპეციალისტებს, ვერ უზრუნველყოფს მტკიცებათა შეგროვებას, მოწმეთა დაკითხვას, ექსპერტიზის ჩატარებასა და ა. შ. ჩვენთვის უფრო მისაღებად მიმაჩნია სამართალწარმოების შერეული ფორმა, რომლის თანახმად, წინასწარი გამოძიების ფუნქცია ეკისრება სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს, რომელიც ვალდებულია გახსნას და გამოიძიოს დანაშაული, სრული მოცულობით, ობიექტურად შეამოწმოს ყველა ვერსია, გამოიკვლიოს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი ყველა გარემოება. ამასთან, რასაკვირველია, ბრალდებულს მინიჭებული უნდა ჰქონდეს ფართო საპროცესო უფლებები, რათა კანონიერი საშუალებებით დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან, როგორც უშუალოდ, ისე დამცველის მეშვეობით. შეიძლება გაფართოვდეს ამ უფლებათა დაცვის გარანტიები, შემოღებული იქნეს დაპატიმრების, ჩხრეკისა და სხვა მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებათა სასამართლო წესით გასაჩივრების უფლება. რაც შეეხება სამსაჯვრო განხილვას, იგი ყველა შემთხვევაში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე უნდა იყოს დაფუძნებული.

— რა ბედი ეწევა გამოძიებას, საჭიროა თუ არა გამოძიების რეფორმა, ერთიანი საგამოძიებო სისტემის შექმნა?

— გამოძიების რეფორმა ნამდვილად საჭიროა. საგამოძიებო აპარატი ამჟამად სამი უწყების ხელშია. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულს იძიებენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გამომძიებლები. გარდა ამისა, ზოგიერთი კატეგორიის საქმის გამოძიება მთავრდება მოკვლევით, რაც იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოკვლევის ორგანოები სრული მოცულობით აწარმოებენ წინასწარ გამოძიებას. დიდი ხანია დავა და კამათია იმის თაობაზე, რომ შეიქმნას ერთიანი საგამოძიებო აპარატი, რაც უზრუნველყოფს დამნაშავეობასთან ბრძოლის გააქტიურებას, საგამოძიებო საქმიანობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის ერთიანობას, საგამოძიებო კადრებისა და მატერიალურ-ტექნიკური სახსრების რაციონალურ გამოყენებასა და ხარჯვას.

მიგვაჩნია, რომ ეს პრობლემა ჩვენმა კონსტიტუციამ თითქმის გადაწყვიტა, როცა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ პროკურატურას დააკისრა.

მოქმედი კანონმდებლობა ამ ტერმინს, მართალია აღარ იყენებს, მაგრამ თეორიაში თითქმის ერთხმადაა აღიარებული, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ეს არის დანაშაულის გახსნა, დამნაშავეთა დადგენა, მათი მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმის სასამართლოში წარმართვა, შეწყვეტა ან შეჩერება. წინასწარი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გამიჯვნის ცდები, რაც ნაპოლეონის ეპოქიდან მომდინარეობს, ყველა ქვეყანაში მარცხით დამთავრდა და ძალიან საეჭვოა ჩვენ მოვახერხოთ ამის გაკეთება. რომ მოვახერხოთ კიდეც, ასეთი უფუნქციო და უუფლებო გამოძიება რად გვინდა? ამ სისტემით მომუშავე გამომძიებელი ხომ ყოველთვის ბრალდების მხარეზე, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ პროკურორზე იქნება ორიენტირებული და დამოკიდებული.

პროკურატურის შესახებ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში ნათქვამია, რომ ახორციელებს რა სისხლისსამართლებრივ დევნას, პროკურატურა ამოწმებს ცნობებს დანაშაულის შესახებ, აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, იღებს ზომებს დანაშაულის სრული გახსნისა და დამნაშავეთა მხილებისათვის, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში აძლევს პირს, ადგენს საბრალდებო დასკვნას და წარმართავს საქმეს სასამართლოში, აჩერებს და წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. თითქოს ყველაფერი ნათელი და გასაგებია, მაგრამ ამის შემდეგ მოდის ცოტა უცნაური დებულებები. პროკურორი თურმე კი არ აწარმოებს გამოძიებას, არამედ მონაწილეობს მასში, ხოლო პროკურატურა წინასწარ გამოძიებას ატარებს მხოლოდ იმ მცირერიცხოვან საქმეებზე, რომლებიც კანონით მის კომპეტენციას განეკუთვნება. ეს უკვე გაუგებარია. აღნიშნული მომენტების გარდა გამოძიებას რაღა რჩება? რა გამოძიება იქნება, რომელიც საქმეს ვერ აღძრავს, ბრალდებას ვერ წაუყენებს დამნაშავეს, ვერ შეწყვეტს და ვერ შეაჩერებს საქმის წარმოებას? მე უფრო იმ აზრისა ვარ, რომ შეიქმნას ერთიანი დამოუკიდებელი ორგანო საგამოძიებო კომიტეტის ან სამინისტროს სახით, ხოლო პროკურატურას დაევალოს გამოძიებისადმი ზედამხედველობა. ამასთან, ყველა შემთხვევაში უნდა გაუქმდეს მოკვლევის საგამოძიებო ფორმა, ყველა დანაშაულის საქმეზე უნდა ტარდებოდეს წინასწარი გამოძიება ერთიანი საპროცესო ფორმებისა და ნორმების დაცვით. მოკვლევის ორგანოები უნდა ახორციელებდნენ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს და ატარებდნენ გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს პროკურატურის ზედამხედველობითა და სასამართლოს კონტროლით.

ესაუბრა
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ქვეყნის სიმდიდრის ზრდის საწინდარი

გადასახადი

გვესაუბრება საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი დავით სალარიძე

ცნობილია, რომ გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ახდევინებს, ქვეყნის ბიუჯეტის შემოსულობათა ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა და განვითარებულ ქვეყნებში ბიუჯეტის 80 პროცენტს შეადგენს. ცნობილია ისიც, რომ გადასახადს იხდიან შემოსავლიდან, რომლითაც დღესდღეობით ჩვენში ვერ დაიტრაბახებენ ვერც ფიზიკური და ვერც იურიდიული პირნი. მაგრამ საქართველოს საგადასახადო ინსპექცია მოქმედებს და — მოქმედებს საკმაოდ გამართულად.

— 1996 წლის პირველი ნახევარი საგადასახადო ინსპექციამ წარმატებით დაასრულა, ამოიღო ნავარაუდევზე მეტი თანხა. რატომ არ იგრძნობა მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება?

— სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება მარტო გადასახადების ამოღებაზე არ არის დამოკიდებული, მას მრავალი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. და თუმცა ჩვენ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შევასრულეთ, პირობების არსებითს გაუმჯობესებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ბიუჯეტი ორი ნაწილისაგან შედგება — შემოსავლის და გასავლისაგან, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 555 მილიონი ლარით არის განსაზღვრული, ხოლო ხარჯი — 785 მილიონი ლარით და დეფიციტი, უკვე დამტკიცებული ბიუჯეტით, 230 მილიონს შეადგენს. ამას დაუმატეთ ის 40 მილიონი ლარიც, რომელიც ბიუჯეტს დააკლდა ა. წ. 1 მარტამდე მოქმედი საგადასახადო შეღავათების გამო. ასე რომ, ჯერ გაუმჯობესებაზე ნუ ვილაპარაკებთ.

— როგორ სრულდება რაიონული ბიუჯეტები (მიწის, ბუნებრივი რესურსების და სხვა გადასახადები)?

— ადგილობრივი ბიუჯეტები მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. საპროგნოზო მაჩვენებლები შესრულებულია, გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს უმრავლესმა რაიონებმა, მაგრამ ჩამორჩენაც შეინიშნება. რაც შეეხება ხელფასების დაგვიანებას, გეგმის გადაჭარბება არ ნიშნავს სოციალური პრობლემების მოგვარებას.

— როგორ ფიქრობთ, რესპუბლიკაში არსებული პოტენციალი ათვისებულია?

— რესპუბლიკაში საგადასახადო პოტენციალი ათვისებული არ არის. თუ სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში შემოსავლების მობილიზების პროცენტი საზოგადოებრივი პროდუქტის 15-დან 25 პროცენტამდე განისაზღვრება, საქართველოში იგი მხოლოდ 6-7 პროცენტს შეადგენს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ 2.3 წლის წინათ ეს მაჩვენებელი ერთ პროცენტსაც არ აღწევდა, წინსვლა უდავოა, თუმცა გასაკეთებელიც ბევრია. ძირითადი მიზეზები, ალბათ, რეალური შემოსავლების დადგენის ხერხებსა და მეთოდებში უნდა ვეძიოთ. სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა ღონისძიებები: კერძოდ, 1993 წლის დეკემბერში მივიღეთ საგადასახადო კანონმდებლობა, რომელმაც, ერთგვარად ცხოვრების დინამიკურობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ბაზა შექმნა. იგი სისტემატურად იხვეწება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით მიმდინარეობს მუშაობა საგადასახადო კოდექსზე.

— თქვენი აზრით, დღევანდელი საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე მეწარმემ ყველა გადასახადი რომ გაისტუმროს, შეძლებს კი თავისი საქმიანობის გაგრძელებას?

— დღევანდელი კანონმდებლობით ყველა გადასახადს აქვს თავისი წყარო. ნაწილი რჩება მეწარმის განკარგულებაში, ასე რომ, თუ მარტო გადასახადებზე ვისაუბრებთ, მეწარმე თავისუფლად შეძლებს საქმიანობის წარმართვას. ბევრი მეწარმე სხვადასხვა გადასახადის პროცენტულ განაკვეთებს მექანიკურად აჯამებს და სადღაც 160 პროცენტამდე ადის, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რეალიზებული პროდუქციის შემოსავლებმა წლეულს 12,0 მილიონი ლარი შეადგინა, ბიუჯეტში კი მხოლოდ 96 ათასი ლარია ჩარიცხული, ალბათ, ასეა მრავალი სხვა საწარმოც. მეორე მხარე გახლავთ, სამწუხაროდ, ჯერაც აღმოუფხვრელი რეკეტი და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, რაზეც მეწარმეები დუმილს ამჯობინებენ.

— გავრცელებულია აზრი, რომ საგადასახადო კანონი ადგილობრივ მეწარმეს ახრჩობს, ხოლო პროდუქციის უცხოეთიდან შემომტან კომერსანტს ხელფეხს უხსნის. როგორ ხდება, რომ იგივე პროდუქტი ადგილობრივ მეწარმეს შემოტანილ პროდუქციაზე ძვირი უჯდება?

— არის აზრი, რომ საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების მეწარმეები თანაბარ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რათა ხვალ შევძლოთ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკიდან გამომდინარე, ჩვენს მეწარმეებს ნამდვილად ხელშეწყობა სჭირდებათ და მათთვის შესამუშავებელია შეღავათიანი საგადასახადო პირობები.

და, საერთოდ, საგადასახადო კანონმდებლობა უდავოდ დასახვეწია. ერთი მხრივ, დიდი გადასახადი ნიშნავს ბიუჯეტში დიდძალი თანხების გადარიცხვას, ხოლო მეორე მხრივ, იგი მეწარმეს უკარგავს მეწარმეობის ხალისს. ადგილობრივ მწარმოებელს უდავოდ უნდა მიენიჭოს შეღავათი უცხოელთან შედარებით. თავის დროზე უცხოური, თუნდაც იგივე თურქული პროდუქციის მოზღვავება საჭირო იყო, ვინაიდან გაუთავებელი არეულობის გამო ჩვენი არ გაგვაჩნდა. ახლა ჩვენი მეწარმე წელში გაიმართა და მას ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი. თუ მდიდარი მეწარმეები არ გვეყოლა, ვერც ქვეყანა იქნება მდიდარი. და კიდევ, — რაც შეეხება კანონმდებლობას. ამ რამდენიმე დღის წინათ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გააუქმა თავისივე 18 აგვისტოს ბრძანებულება „ფიზიკურ პირთაგან საშემოსავლო გადასახადისა და სადაზღვევო გადასახადების აკრეფის მოწესრიგების შესახებ". გააუქმა იმიტომ, რომ არ ვარგოდა. და ეს სულაც არ ნიშნავს ხელისუფლების სისუსტეს, — პირიქით. თუ კანონი არ ვარგა, იგი უნდა გაუქმდეს.

— და, ბოლოს, კიდევ ერთი კითხვა — რატომ არის, რომ ძალზე ბევრს სურს თქვენთან მუშაობა, თქვენი სამუშაო ხომ გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული...

— [illegible], რასაც გულისხმობთ. პირდაპირ გეტყვით, გამომძალველებისაგან არც ერთი დარგი არ არის დაზღვეული, მით უმეტეს, ისეთი, როგორიც საგადასახადო ინსპექციაა, რომლის მუშაკები ყოველ ნაბიჯზე დგებიან ცდუნების წინაშე. სამწუხაროდ, არის ასეთი ფაქტები და მსგავს დარღვევებში შემჩნეულ თანამშრომლებს დაუყოვნებლივ ვიშორებთ. გარდა ამისა, ძალზე გამკაცრებულია ინსპექციაში სამუშაოდ მიღების, ყოველმხრივი შემოწმების პირობები, ფილტრაცია. ამას ემატება საპრემიო სისტემა. პრემიის ოდენობა დამოკიდებულია სამსახურის მიერ გამოვლენილ დამალულ შემოსავლებზე, დამატებით ამოღებული თანხიდან 70 პროცენტი ბიუჯეტში ირიცხება, ხოლო 30 პროცენტი ინსპექციას რჩება. ეს უდავოდ დიდი სტიმულია. მოთხოვნებიც დიდია. ჩვენს ინსპექტორს მორალურ სიმტკიცესთან ერთად მოეთხოვება მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია, თანამედროვე ტექნიკის სრულყოფილი ცოდნა. მაგრამ დღესდღეობით გვაკლია ასეთი კადრებიც და კომპიუტერული ტექნიკაც. მაგრამ თანდათან ყველაფერი კალაპოტში დგება. საგადასახადო ინსპექცია ნაწილია ერთი მთლიანი სახელისუფლებო ორგანიზმისა და მასთან ერთად იმართება წელში. ჩვენ გვყავს ჯანსაღი ბირთვი, ვგრძნობთ პრეზიდენტის მხარდაჭერას, და თანამედროვე ტექნიკითა და სრულყოფილი საგადასახადო კანონმდებლობით შეიარაღებული, უზრუნველვყოფთ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ლომის წილს.

ბატონი დავითის კაბინეტიდან რომ გამოვდიოდი, უნებლიედ მივაქციე ყურადღება ალექსანდრე მრევლიშვილის ცნობილ სურათს „დაბალი ლობე", რომელიც საწერ მაგიდასთან, კედელზე ეკიდა. ალბათ, გახსოვთ ეს სურათი, ჩაფრებს საწყალი გლეხკაცის დაბალი ლობე რომ გადაუთელავთ და გადასახადის ანგარიშში უკანასკნელი სარჩო-საბადებელი გააქვთ ოჯახიდან. გადასახადის ამკრეფნი — „მეზვერეები" არც ერთ დროში და არც ერთ ქვეყანაში არ უყვარდათ. ისინი კი თავიანთ უსიამოვნო, მაგრამ მაინც — მოვალეობას ასრულებდნენ. ჩვენც — გადამხდელებმაც — უნდა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა — ვიხადოთ. მაგრამ თუ კანონმდებლობა არ დაიხვეწა, შეიძლება ბატონ დავითს მეორე სურათის — „გოგია უიშვილის" დაკიდება მოუხდეს.

ნანა სულავა.

დააკავეს ყალბი ფულის გამსაღებელი

ბოლო პერიოდში ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მიერ მხილებულია ყალბი ფულის რეალიზაციის არაერთი ფაქტი.

3 სექტემბერს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურისა და საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს გლდანის მასივის მეორე მიკრორაიონის 32-ე კორპუსში მცხოვრები, 1980 წელს დაბადებული გოჩა გიორგის ძე რასოიანი, რომელმაც აგვისტოში კომერციული ჯიხურების გამყიდველებს ლარის შესაბამისი კურსის მიხედვით გადაუხადა რუბლის 7 ყალბი 100 ათასრუბლიანი კუპიურა. რასოიანმა აღიარა, რომ მას ყალბი ფული სარეალიზაციოდ გადასცა ჭიათურის ზონის სოფელ ითხვისში მცხოვრებმა, 1970 წელს დაბადებულმა აკაკი ელგუჯას ძე კობიაშვილმა. აგრეთვე ივნისში რასოიანმა კობიაშვილთან ერთად მარნეულის რაიონში რუსული რუბლის 7 ცალი ყალბი 100 ათასრუბლიანი კუპიურით შეიძინეს ცხვრის ფარა. კობიაშვილი იმალება.

საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო.

აქედან გამომდინარე, მოქალაქეებს ვურჩევდით, რომ მეტი ყურადღება გამოიჩინონ როგორც ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში, ასევე სავაჭრო ორგანიზაციებში და ყალბი ფულის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობონ შესაბამის ორგანოებს.

საქინფორმი.

გარემოს დაცვისათვის ყველამ უნდა ვიზრუნოთ

არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, კვლავ უმოწყალოდ იჩეხება ტყე, ირღვევა ნადირობისა და თევზჭერის წესები.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, ეკოლოგიის პოლიციის მთავარი სამმართველოს შავი ზღვისა და შიდა წყლების საკონტროლო ინსპექციის თანამშრომლებმა განახორციელეს ღონისძიება, რომლის დროსაც თბილისში, მდინარე მტკვარზე აღმოაჩინეს უკანონო თევზჭერის ფაქტები.

პოლიციამ სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე მოქალაქე ნ. ხარაიძეს ჩამოართვა 23 ფაცერი; ჩოხატაურის ეკოლოგიის პოლიციის თანამშრომლებმა ამხილეს სოფელ ხიდისთავში მცხოვრები ჯ. კალანდაძე და სოფელ გერგეთში მცხოვრები ა. ჯინჭარაძე, რომლებმაც უკანონოდ მოჭრეს 360 და 120 ლარის ღირებულების ხეები; ოზურგეთის ეკოლოგიის პოლიციის თანამშრომლებმა ამხილეს სოფელ ცხემლისხიდში მცხოვრები ზ. ქლენტი, სოფელ ვაკიჯვარში მცხოვრები ე. მდინარაძე და სოფელ მაკვანეთში მცხოვრები გ. მეფარიშვილი, მათ უკანონოდ მოჭრეს 319, 119 და 235 ლარის ღირებულების ხეები.

მცხეთა-თიანეთის სამხარეო ეკოლოგიის პოლიციის თანამშრომლებმა ამხილეს თიანეთის რაიონის სოფელ ჟებოტაში მცხოვრებლები დ. მათურელი და თ. აბრამიშვილი. მათ უკანონოდ მოჭრეს 8 კუბური მეტრი ხე. თეთრიწყაროს ეკოლოგიის პოლიციისა და გარემოს დაცვის თანამშრომლების ერთობლივად განხორციელებული ღონისძიების დროს ამხილეს სოფელ სალორაშენში მცხოვრები მ. მანთაძე, რომელმაც სოფლის მიმდებარე ტყეში უნებართვოდ მოჭრა 7,5 კუბური მეტრი ხე, რომლის ღირებულება შეადგენს 112 ლარს; ეკოლოგიის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხე-ტყის უკანონო ჭრასთან მებრძოლი განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს სოფელ ძირაგეულის მცხოვრებლები ნ. მეტონიძე და ვ. გაბიჩვაძე, მათ ავტომანქანა „კამაზით" ამბროლაურის რაიონიდან თბილისში შესაბამისი საბუთების გაუფორმებლად ჩამოიტანეს 22 კუბური მეტრი ხე-ტყე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა.

საქინფორმი.

ამერიკელი გენერალი მალე ეწვევა თბილისს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტმა ურთიერთობა დაამყარა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გვარდიის ნიუ-იორკის განყოფილებასთან

საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ნიუ-იორკიდან გვაცნობა, რომ მიმდინარე წლის თებერვალში თბილისში გამართული შეკრებისას, საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს ელჩებთან შეხვედრაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ სხვა საკითხებთან ერთად გამოთქვა სამინისტროს გაძლიერებლად ძალისხმევის გაერთიანების აუცილებლობის სურვილი.

სწორედ ამ წინადადებას ეხმიანება ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გვარდიის ნიუ-იორკის შტატის განყოფილების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მოწვევა ახლადშექმნილ — საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტთან თანამშრომლობის საკითხების განსახილველად, რასაც ორგანიზება გაუკეთა გაეროსთან საქართველოს წარმომადგენლობამ ამერიკაში საქართველოს საელჩოსთან ერთად.

ამ საკითხზე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორთან და ეროვნული გვარდიის ნიუ-იორკის შტატის განყოფილების ხელმძღვანელობასთან წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვია მისი მოადგილე გიორგი ჩეჩელაშვილი. მას და გაეროსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს პეტრე ჩხეიძეს შეხვდა ნიუ-იორკის შტატის ეროვნული გვარდიის უფროსი, გენერალი ჯონ ფენიმორი. მან სტუმრებს გააცნო დაქვემდებარებული ქვედანაყოფის საქმიანობის პრინციპები, დაათვალიერებინა ბაზა და შტაბბინა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ქვეყანაში.

ქვედანაყოფი 25 ათას კაცს აერთიანებს, სახელმწიფო ხაზინიდან მისი წლიური ბიუჯეტი 0,5 მილიარდ დოლარს აღემატება და საუკეთესოდაა ეკიპირებული სტიქიური უბედურებებისა და სხვა საგანგებო შემთხვევების პირობებში მოსახლეობისათვის გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად. გარდა ამისა, ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები მასობრივი სადღესასწაულო ღონისძიებებისას ეხმარებიან ადგილობრივ პოლიციას, ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობას, ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებს ახალგაზრდობაში დანაშაულებათა პროფილაქტიკის მიზნით და სხვა.

სტიქიური უბედურებისას მოქმედებასთან ერთად, ეროვნული გვარდია თავისი არსებობის სამი საუკუნის განმავლობაში ასრულებს შინაგანი წესრიგის დამყარებისა და სამოქალაქო თავდაცვის შენაერთის ფუნქციას. მონაწილეობა აქვს მიღებული კუვეიტ-ერაყის ომში გაერთიანებული ძალების ოპერაციაში — „ქარიშხალი უდაბნოში".

შეხვედრაზე თავიანთ მისასალმებელ სიტყვებში მაღალი რანგის ოფიცრებმა გამოავლინეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების პროფესიული ცოდნა.

გენერალმა ფენიმორმა აღნიშნა, რომ პირადად მისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა და პატივად მიიჩნევს, თუკი ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გვარდია გარკვეულ წვლილს შეიტანს თავისი მთავრობის ძალისხმევაში დაეხმაროს საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ქვეყნის აღორძინებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურის გაძლიერებაში.

ნიუ-იორკის შტატის დედაქალაქ ოლბანიში ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც თანამშრომლობისა და დახმარების ფართო პროგრამის რეალიზაციას უყრის საფუძველს.

პროგრამით გათვალისწინებულია მეთოდური დახმარება სტიქიური უბედურების შემთხვევებში ოპერაციების განხორციელების საკითხებზე, დახმარება საჭირო მატერიალური ბაზის შექმნაში, სხვა მსგავსი სამხედრო და სამოქალაქო სამსახურების საქმიანობის გაცნობა, სპეციალისტების გაცვლა გამოცდილების გაზიარების მიზნით, ერთობლივი წვრთნა, ურთიერთკავშირის სტრუქტურების ჩამოყალიბება. მემორანდუმში ხაზგასმულია ყველა იმ ოპერატიულად დასმულ საკითხში დახმარებისათვის მზადყოფნა, რომელიც შესაძლოა წინასწარ არ იქნეს განსაზღვრული შეთანხმებაში.

ამერიკელთა მხარემ კმაყოფილებით მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწვევა. კონკრეტულ საკითხებზე შეთანხმების მიზნით გენერალი ჯონ ფენიმორი ახლო მომავალში ეწვევა თბილისს.

საქინფორმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიმხან ანდარბიევმა ანონიერი თავრობის მომხრე ენები შეიწყალა“

ჩენეთის მოქმედმა პრეზიდე- მა ზელიმხან იანდარბიევმა ამ- სტია გამოუცხადა ყველა იმ ჩე- ს, რომლებიც თანამშრომლო- ნ ფედერალურ ძალებთან ან ყუ ზავგაევის კანონიერ მთავ- რობასთან. ამავე დროს ზავგაევმა ვ ერთხელ განაცხადა, რომ ი არ აპირებს რესპუბლიკის ვრობის მეთაურის პოსტიდან დგომას.

ჩენეთის შინაგან საქმეთა მი- რმა ყაზბეგ მაქაშევმა უარყო ეთის მთავრობის წინადადე- რუსეთ-ჩეჩნეთის მილიციის ომლივი ძალების შექმნის შე- ბ.

ლა იმდენი ხელისუფლება ის ჩეჩნეთში, რამდენიც ლიდე- ის პრეტენდენტი.

მდენია პრეტენდენტი—არა- ის.

ლცინ-კოლის შეხვედრასთან აკავშირებით

ერმანიის კანცლერის ჰე- ტ კოლისა და რუსეთის პრე- დენტის ელცინის შეხვედრის ის ლიდერებმა დათქვეს „გაა- ლერონ მოლაპარაკების პროცე- ველა დონეზე“ ნატოს წევრო- გაფართოების საკითხთა შე- ბ.

ეზიდენტმა კოლს აცნობა, რომ იგი მხარს უჭერს ლებედის მშვიდობისმყოფლურ მოქმედებას ჩენეთში, ხოლო კოლმა ჩეჩნეთის ომლემას რუსეთის საშინაო სა- და.

ყოფილ იუგოსლავიასთან დაკა- ებით ორივე ლიდერი დათა- ნხმდა, რომ მსოფლიო გაერთია- ნებამ გავლენას უნდა ახდენდეს ყვე- ლა მხარეზე, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. მათ აგრეთვე განი- ხილეს ის საკითხი, თუ ვის ხელში გადავა კონტროლი რუსეთის ბი- ღილაკისადმი, სანამ ელ- საავადმყოფოში იწვება, ამა- გადაწყვიტეს არ გააცნონ სა- ს დეტალები პრესას.

ლიბერალ-დემოკრატები კონსტიტუციურ სასამართლოს მიმართავენ

სათათბიროს დეპუტატებს თის ლიბერალურ-დემოკრა- ტიული პარტიისაგან განზრახუ- ლი აქვს საკონსტიტუციო სასა- მართლოში შეიტანონ აპელაცია იმ შეთანხმების წინააღმდეგ, რო- მელსაც ლებედმა და მასხადოვმა მოაწერეს ხელი ჩეჩნეთში.

დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ ეს შეთანხმება უპასუხოდ ტოვებს სამ კითხვას: რის საფუძველზე ცნეს ჩე- ჩნეთი საერთაშორისო სამართლის ობიექტად, როგორ უნდა ეკიდე- ბოდეს მოსკოვი ჩეჩნეთის პრომო- სკოვურ მთავრობას ამ მომენტი- დან, და ხომ არ გადაუმეტებია ლე- ბედს მინიჭებული უფლებამოსი- ლება დოკუმენტზე ხელმოწერით.

ფედერაციის საბჭომ ჩეჩნეთის საკითხებზე შექმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობა- ში შევლენ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის ლიდერები, მოს- კოვისა და პეტერბურგის მერები და ფედერაციის საბჭოს კონსტიტუციური კანონების, რეგიონული პოლიტიკის, თავდაცვისა და საერთაშორისო საქმეთა კომიტეტების წარმომადგენლები.

სომხეთი: პრეზიდენტობის პრეტენდენტები უარს ამბობენ კენჭისყრაზე

22 სექტემბრისათვის დანიშნული პრეზიდენტის არჩევნების შვიდ კანდიდატთაგან სამმა უარი თქვა კენჭი ეყაროს და მხარდაჭერა გამოუცხადა ყოფილ პრემიერ-მინისტრს ვაზგენ მანუკიანს, ახლანდელი პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის ძირითად მეტოქეს.

ოპოზიციის კიდევ ერთმა კანდიდატმა — აშოტ მანუჩარიანმა (სამეცნიერო-სამრეწველო და სამოქალაქო კავშირისაგან) ასევე შეიძლება უარი განაცხადოს არჩევნებში მონაწილეობაზე, ხოლო კომუნისტთა ლიდერი სერგეი ბადალიანი იმედოვნებს, რომ გაიმარჯვებს და არ აპირებს დაყაროს ფარხმალი.

გამოკითხვის მონაცემებით, ბადალიანს ბევრი მომხრე ჰყავს იმის გამო, რომ იგი ხალხს ჰპირდება, რომ მოსპობს კორუფციას და ფარულ ეკონომიკას, გაატარებს უფრო სამართლიან სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას და გადასინჯავს კონსტიტუციას, რათა შეკვეცოს პრეზიდენტის ძალაუფლება.

ფრიად ნაცნობი დაპირებებია ყოფილი სსრკ რესპუბლიკების ელექტორატისათვის, რომელსაც ცარიელი სიტყვების აღარ სჯერა.

ტაჯიკეთის ოპოზიციამ ჯირგატალი ჩაიგდო ხელში

სეპარატისტთა ქვეგანაყოფებმა, რომლებსაც ახმადბეგი მეთაურობს, ხელში ჩაიგდეს ქალაქი ჯირგატალი, დუშანბედან 280 კილომეტრზე.

ეს ოპერაცია დაემთხვა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მეხუთე წლისთავის დღესასწაულს, რომელიც 9 სექტემბერს აღინიშნა. 400-მდე სეპარატისტმა განაიარაღა და ყირგიზეთში გაყარა 46 ტაჯიკი მილიციელი.

გაეროს წარმომადგენელმა ტაჯიკეთში ჰერდ მერემმა გამოაქვეყნა საპროტესტო წერილი, რომელშიც მოსახლეობას მოუწოდებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მტრობა დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

პრეზიდენტ რახმონოვის გამოსვლა

ტაჯიკეთის პრეზიდენტი იმომალი რახმონოვი გამოვიდა ტაჯიკური დიასპორის კონგრესზე, რომელზეც 19 ქვეყნის 250 დელეგატი შეიკრიბა, და განაცხადა, რომ ოპოზიციის ძალები ცდილობენ დაამყარონ ისლამური რეჟიმი ამ ქვეყანაში. ამავე დროს რახმონოვმა თქვა: „ჩვენ პატივს ვცემთ ისლამს როგორც მორალური და სულიერი სიწმინდის საფუძველს და კულტურის წყაროსო“.

ტაჯიკური დიასპორის პირველი კონგრესი 1992 წელს გაიმართა.

ახალი დემონსტრაციები ბელორუსიაში

დაახლოებით 3000 კაცი მონაწილეობდა დემონსტრაციაში, რომელიც 8 სექტემბერს გაიმართა მინსკში 1514 წლის ორშის ბრძოლის წლისათვის აღსანიშნავად. ამ ბრძოლაში ლიტველთა და ბელორუსთა ჯარებმა მოსკოვი დაამარცხეს.

დემონსტრაცია გადაიქცა პრეზიდენტ ლუკაშენკოსა და მისი პრორუსული ორიენტაციის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლად. ორატორებმა გააკრიტიკეს ლუკაშენკო და ბრალად დასდეს, რომ იგი ცდილობს შემოიღოს დიქტატორული მბრძანებლობა, არღვევს კონსტიტუციას და ქვეყანა რუსეთს მიჰყიდა.

ლეონიდ კუჩმა: მოსალოდნელია სავაჭრო ომი რუსეთთან

პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ განაცხადა, რომ რუსეთის წინადადებას უკრაინის იმპორტზე ახალი გადასახადის დაწესების შესახებ შეიძლება მოჰყვეს სავაჭრო ომი ორ ქვეყანას შორის. წინა თვეში მოსკოვმა გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს შემოიღოს დამატებული ღირებულების გადასახადი 20 პროცენტის ოდენობით უკრაინულ იმპორტზე იმისათვის, რომ „ალაგმოს“ იაფფასიანი საქონლის მასობრივი მოზღვავება რუსეთის ბაზარზე.

უკრაინული შაქრის მიწოდებას ასევე დაუწესდება კვოტები ერთი მილიონი ტონის ოდენობით.

კუჩმამ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილებანი არღვევს ვაჭრობის თავისუფლების შეთანხმებას, რომელიც თანამეგობრობის ქვეყნებს შორის არის დადებული.

მოსკოვმა ახალი გადასახადებისა და კვოტების შემოღება ოქტომბრამდე გადადო. კუჩმას თქმით, რამდენადაც ეს ღონისძიებანი მხოლოდ უკრაინას ეხება, გამოდის, რომ ისინი ნაკარნახევია არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მოსაზრებებით და ამიტომ პოლიტიკური გზით უნდა გადაიჭრას.

პავლე მეორემ გამამხნევებელი სიტყვით მიმართა უნგრელებს

რომის პაპი პავლე II პირველად ჩავიდა უნგრეთში 1991 წლის შემდეგ და გადაიხადა წირვა ქვეყნის დასავლეთით მდებარე ქალაქ გიორში; უამინდობის მიუხედავად, წირვას 150 ათასი კაცი დაესწრო. რომის პაპმა უნგრელებს მიმართა გამამხნევებელი სიტყვით და თხოვა, არ დაიკრიფონ გულხელი ეკონომიკური და სოციალური სიძნელეების, უმუშევრობის, ხალხის გაღატაკებისა და მორალურ ღირებულებათა დევალვაციის გამო.

პაპმა აგრეთვე მოლაპარაკება გამართა უნგრეთის პრეზიდენტთან არპად გონჩთან და პრემიერ-მინისტრთან გიულა ჰორნთან. პრემიერმა და რომის პაპმა მოიწონეს ვატიკანისა და უნგრეთის სამი შეთანხმება, რომლებიც ეხება ეკლესიების სახელმწიფო დაფინანსებას, საეკლესიო საკუთრების დაბრუნებასა და საეკლესიო სკოლების დაფინანსებას.

რუმინეთ-უნგრეთის სამხედრო შეთანხმება

უნგრეთისა და რუმინეთის თავდაცვის მინისტრებმა გიორგი ტინკამ და გიორგი კელეტიმ რუმინეთის დასავლეთით მდებარე ქალაქს არადში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივი ნდობისა და უსაფრთხოების გაფართოებას. შეთანხმების მოქმედების ვადა არ არის შეზღუდული.

მოლდავეთის პარტიული ლიდერი სახალხო ფრონტიდან გავიდა

ილიე ილასკუ, რომელიც პატიმრობას იხდის დნესტრისპირეთში, სადაც მას ბრალად დაედო ტერორისტულ აქტებში მონაწილეობა და სიკვდილიც მიესაჯა, გავიდა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის სახალხო ფრონტის რიგებიდან.

პარტიის ხელმძღვანელობისადმი წერილში ილასკუმ, რომელსაც განზრახული ჰქონდა კენჭი ეყარა პრეზიდენტის პოსტზე, განაცხადა, რომ უგუნურებად მიაჩნია პარტიის გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს პრეზიდენტ მირჩა სნეგურს 17 ნოემბრის მომავალ არჩევნებში. როგორც ილასკუმ განაცხადა, მას ვერ გაუგია, რატომ უნდა ეხმარებოდეს მოლდავეთის რუმინეთთან შეერთების მომხრე პარტია იმ ადამიანებს, რომლებიც „არარად აგდებენ ჩვენს ეროვნულ იდეალებს“.

სოფიაში გაიხსნა ბალკანეთის უდიდესი სინაგოგა

დიდი რემონტის შემდეგ 8 სექტემბერს სოფიაში კვლავ გაიხსნა სინაგოგა.

მთელი მსოფლიოს 1000-ზე მეტი ებრაელი შეიკრიბა გახსნის ცერემონიალზე, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ პრეზიდენტი ჟელევი და ისრაელის ქნესეთის სპიკერი დან ტიხონი. სინაგოგა პირველად 1909 წელს გაიხსნა. მეორე მსოფლიო ომის დროს ეკლესიას ბომბი მოხვდა და დაინგრა. მისი შეკეთება კომუნისტურმა რეჟიმმა აკრძალა.

სინაგოგის აღდგენა 370 ათასი დოლარი დაჯდა, ეს ფული გაიღო ებრაელთა საერთაშორისო თემმა.

ტიხონმა განაცხადა, რომ სინაგოგა იყო „არა მარტო რელიგიური ცენტრი, არამედ ებრაული კულტურის სახლიც“. მან აღნიშნა, რომ ათიათასობით ებრაელი „იხსნეს ბულგარელებმა ნაცისტთა საკონცენტრაციო ბანაკებისაგან“. დაახლოებით 5 ათასი ებრაელი დღესაც ცხოვრობს ბულგარეთში, ძირითადად სოფიაში.

ვლადიმერ ჟირინოვსკი პოლიციამ დააკავა

რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი იუგოსლავიის პოლიციამ დააკავა იუგოსლავიისა და ბოსნიის საზღვარზე, როდესაც იგი ბოსნიაში მიემგზავრებოდა „სერბთა რადიკალური პარტიის წინასაარჩევნო აქციებში მონაწილეობის მისაღებად“.

სევასტოპოლელი ვეტერანები რუსეთს ვერ ელევიან

სევასტოპოლში მცხოვრებმა 27 ათასმა დიდი სამამულო ომის და შეიარაღებული ძალების ვეტერანმა პრეზიდენტ ბორის ელცინს სთხოვა „დაადასტუროს ქალაქის რუსული სტატუსი“. რუსეთის უშიშროების საბჭოს განზრახული აქვს „საგანგებო კონტროლი დაუწესოს იმ საკითხთა განხილვის მიმდინარეობას, რომლებიც შეეხება შავი ზღვის ფლოტს და ქალაქ სევასტოპოლის მომავალ სტატუსს“.

საუკუნე წესების მიხედვით...

11 სექტემბერს საგზაო მოძრაობის წესებს 100 წელი შეუსრულდა



დილემა — დედალი თუ კვერცხი — კიდევ უფრო ძნელი გადასაწყვეტია, ვიდრე საკითხი: რა გაჩნდა უფრო ადრე, წესები თუ ავტომობილი. ისედაც ცხადია... მაგრამ ნუ იჩქარებთ დასკვნის გამოტანას. თუ დედალზე დღემდე არაფერი ვიცით, წესების შესახებ ყველანი გათვითცნობიერებული ვართ. ისიც კი ვიცით, რომ წესები უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე... ავტომობილი.

გზებზე მოძრაობის წესის შესახებ პირველი ბრძანებულებანი გამოვიდა ჯერ კიდევ პეტრე დიდის დროს, თუმცა ისინი მხოლოდ ცხენის ეკიპაჟებზე ვრცელდებოდა.

რაც შეეხება არასაჭაპანო სატრანსპორტო საშუალებებს, მათი ინსტრუქციები ზუსტად 100 წლის წინათ გაჩნდა. მაშინ გზათა წესდებით სწორედ ამ გზათა მინისტრს მიენიჭა უფლება გამოეცა ყველასა და თითოეულისათვის სავალდებულო „ინსტრუქცია თვითმავალი ურიკებით გზატკეცილებზე სიმძიმეთა გადაზიდვის წესისა და პირობების შესახებ“.

გზათა მინისტრმა, როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, ისარგებლა მისთვის მინიჭებული უფლებით და 1895 წლის 11 სექტემბერს გამოსცა ნომერ 7453 ამავე სახელწოდების დადგენილება. მაგრამ ვინაიდან გზებზე თვითმავალი ურიკები სულ თითოოროლა იყო, ხოლო ეტლში შებმული ცხენები — ბევრზე ბევრი, სწორედ საჭაპანო ტრანსპორტს მიენიჭა უპირატესობა, როგორც ახლა — ტრამვაის.

გზებზე მოძრაობის პირველ წესებს ზედმიწევნით ასრულებდნენ მხედრებიც და ქვეითად მოსიარულენიც. ისინი საჭესთან მჯდომი ყოველი მძღოლისაგან მოითხოვდნენ შეემცირებინათ დაღმართში, სხვა ეკიპაჟებთან შეხვედრისას, გზატკეცილების გადაკვეთის ადგილებში და საერთოდ ყველა გზაჯვარედინზე და დასახლებულ პუნქტში მოძრაობის სიჩქარე. „მკვეთრ მოსახვევში თვითმავალმა ურიკებმა ნელა უნდა იარონ, ხოლო დახურულ ადგილზე, გარდა ამისა, მოძრაობისას გამოსცენ საყვირის ხმა“.

წესებით გათვალისწინებული იყო აგრეთვე „მხედარს“ აუცილებლად ჰქონდა ქაღალდი, რომელსაც დღეს „ტექპასპორტი“ ეწოდება. ამ დოკუმენტს უნდა დაედასტურებინა, რომ „ეკიპაჟი ყოველმხრივ გამართულია და მექანიკური ძრავის ყველა ნაწილი წესიერ და უსაფრთხო მდგომარეობაშია. ასეთი „ტექპასპორტის“ მიღება ავტომატურად ავალდებულებდა თვითმავალი ურიკის მფლობელს წარედგინა იგი პერიოდული ხელახალი შემოწმებისათვის „იგივე წესით და იგივე ვადებში, რომლებიც დადგენილია გემების ორთქლის ქვაბებისათვის“.. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ 100 წლის წინათ მოიგონეს ყოველწლიური სავალდებულო „ტექდასინჯვა“. თუმცა ისტორიკოსები არაფერს ამბობენ იმის თაობაზე, საჭირო იყო თუ არა ამ პროცედურის დროს გეჩვენებინა ცეცხლმაქრობი, აფთიაქი და ავარიული გაჩერების ნიშანი.

წესების მთელი ნაკრების შესრულებისათვის კონტროლი დაკისრებული ჰქონდათ ახლანდელ ავტოინსპექტორთა პაპისპაპებს ადგილობრივ პოლიციაში და გზის ხელოსნებს. ამ უკანასკნელთ ეთმობოდათ ნაკლებად პასუხსაგები როლი — თვალყური ედევნებინათ იმისათვის, რომ რკინის სალტეებს, რომლებითაც აღჭურვილი იყო ურიკების უმრავლესობა, არ გაეფუჭებინათ გზატკეცილის საფარი.

საკუთარი თავის პატივისმცემელი ყოველი ქალაქი ახალი წესების საფუძველზე იგონებდა თავის, ასე ვთქვათ, ესკლუზიურ წესებს. მაგალითად, პეტერბურგის ქალაქის თავმა დაადგინა: ქალაქის ფარგლებში მანქანით სიარული შეიძლება მხოლოდ ქალაქის გამგეობისაგან ნებართვის მიღების შემდეგ. რაც უნდა იყოს — დედაქალაქია... ამასთან გამგეობაში უნდა წარედგინათ ავტომობილის ზუსტი ნახაზი ან ფოტოსურათი, ტექნიკური მახასიათებლები და თითით ეჩვენებინა ის, ვინც უნდა დამჯდარიყო საჭესთან. „მეეტლის“ შეცვლას ასევე სჭირდებოდა გამგეობის ლოცვა-კურთხევა. ყველა ბიუროკრატიული ფორმალობის შესრულების შემდეგ იგივე საქალაქო გამგეობის ტექნიკოსები ავტომობილს საგულდაგულოდ სინჯავდნენ. ეს იყო რაღაც სახელმწიფო მიღების მაგვარი... ასეთივე ეგზეკუციას განიცდიდა მძღოლიც. მას უნდა დაერწმუნებინა კომისიის წევრები, რომ მართლაც შეუძლია ურიკის მართვა. ამ დროს კომისიის ერთ-ერთი წევრი — უნივერსალი ექიმი — ყურადღებით სინჯავდა მძღოლს, რათა დაედგინა, ხომ არა აქვს მას რაიმე ორგანული ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს შეუშლიან ავტომობილის მართვაში. თუ მძღოლი შეძლებდა მოედუნებინა ტექნიკოსებისა და ესკულაპის სიფხიზლე, მას აჯილდოვებდნენ ურიკის მართვის ნებართვით. ეს იყო რალაც ახლანდელი „უფლების“ მსგავსი... მაგრამ იმ დროს მართვის უფლება გაცილებით უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა: ეს იყო კარგა მოზრდილი წიგნაკი, რომელსაც ფურცლები აჭრელებული ჰქონდა გზებზე მოძრაობის ახალი წესით.

„ქსივებთან“ ერთად გაჩნდა ახლანდელი სახელმწიფო სანომრო ნიშნების წინაპარიც, რომელსაც „სანომრო ბილეთი“ უწოდეს.

ყოველ მძღოლს უნდა ჰქონოდა ავტომობილში მოწყობილობა, რომელიც ყაჩაღს არ დაანებებდა ავტომობილის გატაცებას. ეს კერძო საკუთრებისათვის სახელმწიფოს მზრუნველობის გამოხატულება როდი იყო. გამგეობა შიშობდა, ვაითუ საჭეს ვილაც ბედოვლათი მიუჯდეს და ფეხით მოსიარულე უბედურებას სწიოსო. იგივე — დემოგრაფიული — მიზეზით წესების მიხედვით დაშვებული იყო მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე 12 ვერსი (12,72 კმ) საათში.

1896 წელს დაიწყო მხრჩოლავი მანქანების პირველი „დაჭერები“. იქმნებოდა დღეს უკვე კარგად ცნობილი ეკოლოგიური საგუშაგოები, რომლებიც თვალს ადევნებდნენ, რომ ავტომობილს არ გამოეფრქვია ჰაერში არც კვამლი და არც ორთქლი, მით უმეტეს არ გაეწუწავა გამვლელები ლაფით.

1908 წლისათვის, როდესაც ცხენთა რემამ აქტიურად იწყო კლება და მისი ადგილი გზებზე ჯაყჯაყა ავტოებმა დაიკავეს, გზათა სამინისტრომ გამოსცა „უწყების გზატკეცილებზე ავტომობილების მოძრაობის ახალი ტექნიკური წესები“. „სანომრო ბილეთის“ ცნება შეიცვალა თანამედროვე „სანომრო ნიშნით“. ცხენის ფურგონებს ებრძანათ გზის პირას არ გადმოსულიყვნენ, როდესაც „ტექნიკის სასწაული“ გაივლიდა. ქალაქში ნებადართული იყო საათში 15 ვერსის (15,9 კმ) სიჩქარით, ხოლო ქალაქგარეთ — 25 ვერსის (26,5 კმ) სიჩქარით სიარული. ახალი წესების მიხედვით მძღოლის მოწმობაში პირველად ჩაიკრა შოფრის ფოტოსურათი.

1909 წლის ოქტომბერში, როდესაც ავტომობილები მთელ მსოფლიოში მოზღვავდა, პარიზში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის, რუსეთმა ხელი მოაწერეს კონვენციას. მის განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს კონფერენციის მონაწილე ყველა ქვეყნისათვის გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნების შემოღება.

განსაკუთრებით თვალსაჩინო თანამედროვე მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ 1909 წლის შემდეგ ეს ნიშნები თავიანთი შემქმნელების ერთგულნი დარჩნენ და პრაქტიკულად არ შეცვლილან.

ერთი სიტყვით, ავტომობილთა პარკის გადიდებასთან ერთად რუსეთში გზებზე მოძრაობის წესები ვითარდებოდა, ივსებოდა, ზუსტდებოდა და მკაცრდებოდა კიდეც. მაგრამ წესებს ყოველთვის წინ უსწრებდა თავზეხელაღებულ მძღოლთა რემა.

ეს უკანასკნელი მთელი თავიანთი დღე და მოსწრება... საკუთარი წესებით დადიოდნენ.

ბებერი ხარისა რქანიცა ხნავენო

ანუ ძველი ლიმუზინი ორ ახალს სჯობს. ამ აზრს იზიარებს პარიზის აუქციონი



BENTLEY MK VI CABRIOLET PARK WARD 1947 წ.
გაიყიდა 28818$

ALFA ROMEO 6C 2500 SS COUPE TOURING 1949 წ.
გაიყიდა 42267$



FERRARI 250 GT BERLINETTA "LUSSO" 1964 წ.
გაიყიდა 109510$

ROLLS ROYCE SILVER WRAITH BERLINE HOOPER
1952 წ. გაიყიდა 24207$



JAGUAR XK 120 COUPE 1953 წ.
გაიყიდა 15946$



TALBOT T 10 COACH "JUNIOR" 1936 წ.
გაიყიდა 20173$

ფრანგებმა მარტოოდენ საუცხოო პარფიუმერიისა და მდიდრული ტანსაცმლის ყადრი როდი იციან. ნებისმიერი ფრანგისათვის კარგი ავტომობილი — ეს არის ცხოვრების სტილიც, საზოგადოებაში მიღწეული მდგომარეობის ნიშანიც და სიამაყის საგანიც. უმანქანო ფრანგი იგივეა, რაც „უმულენრუჟო“ ღამის პარიზი.

ახალი ლაპლაპა და მძლავრი ავტომობილების თავგამოდებული მოტრფიალე ფრანგები როდი იხრიან ქედს მარტოოდენ მსოფლიო ავტომშენებლობის უკანასკნელი ნამუშევრების წინაშე. „რეტროს“ სტილის მოდაში დაბრუნების შემდეგ ისინი სულ უფრო ხშირად ამჯობინებენ ძველებურ ავტომობილებს. თანაც, ამ უნიკალურ სათამაშოებს ეტრფიან არა მარტო კოლექციონერები, რომლებიც მანიაკის ვნებით აგროვებენ უიშვიათეს ექსპონატებს თავიანთი საოჯახო მუზეუმებისათვის. მაგალითად, „გრანდ ოპერის“ თეატრთან 1947 წლის გამოშვების „ბენტლით“ მისვლა ფრიად კარგი ტონის ნიშნად ითვლება, მით უმეტეს, თუ მანქანაში ლამაზი ქალი ზის...

პარიზის კონგრეს-დარბაზში გამართულმა უკანასკნელმა აუქციონმა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საიქიოდან დაბრუნებული ძველთაძველი ავტომობილები, უახლესი ტექნიკის თაყვანისმცემლებიც კი აღაფრთოვანა და ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ბებერი ხარისა რქანიცა ხნავენ, ანუ ძველი ავტომობილი ორ ახალს არ უდებს ტოლს...

გაზ. „მოსკოვსკი კომსომოლეც“, 6/IX.

ავტომობილი ტფილისში

პირველი ავტომობილი თბილისის ქუჩებში 1891 წელს გამოჩნდა „ფრანგული მარკით“. ეს ერთადერთი ავტომანქანა კავკასიის სამხედრო საბჭოს ეკუთვნოდა.

1903 წელს კი ქალაქში ათამდე „ჰენრი ფორდის“ მარკის ავტომანქანები მოძრაობდა.

1904 წელს მიხეილის ქუჩაზე (ამჟამად დავით აღმაშენებლის გამზირზე) პირველი ავტოგადარბენა გაიმართა.

1908 წელს თბილისში პირველი საკუთარი ავტომანქანა ცნობილ ბიზნესმენსა და მეცენატს დავით სარაჯიშვილს ეკუთვნოდა.

1910 წელს მათი რიცხვი 32-მდე გაიზარდა.

1925 წლიდან დედაქალაქში მძღოლთა მოსამზადებელი კოოპერატივი „მოტორი“ ჩამოყალიბდა.

1928-ში მეორე მძღოლთა მოსამზადებელი სკოლა გაიხსნა, რომელიც თვითდაფინანსებით არსებობდა. საინტერესოა, რომ იგი თავს სხვადასხვა სახის ლატარიით ირჩენდა, მოგებულ თანხას კი გზატკეცილის მშენებლობას ახმარდა.

30-იანი წლებიდან მეფაეტონეებმა თითქმის მთლიანად დაუთმეს ადგილი ავტომობილს, რომელსაც ინტენსიურად გადაჰყავდა მგზავრები ყველა მიმართულებით: კოჯორში, კიკეთში, ვლადიკავკაზში, აზერბაიჯანში...

1990 წლისათვის მსოფლიოში 518 მილიონი სატრანსპორტო საშუალება იყო. წინასწარი გაანგარიშებით, 2.000 წლისათვის მსოფლიოში 816 მილიონამდე სატრანსპორტო საშუალება იქნება. ჩვენს დედაქალაქში ბოლო 30 წლის განმავლობაში ტრანსპორტის რიცხვი დაახლოებით ხუთჯერ გაიზარდა (30 ათასიდან 150 ათასამდე).

პირველ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევად, რომელიც სიკვდილით დამთავრდა, ლონდონში მოხდა 1896 წლის 17 აგვისტოს. დედა-შვილი ქუჩის სავალ ნაწილს გადადიოდა. დედას ავტომანქანა დაეჯახა და ადგილზე გარდაიცვალა. მაშინდელმა პრესამ აღნიშნა, რომ ავტომანქანა თავბრუდამხვევი სიჩქარით, საათში 8 კილომეტრით მოძრაობდა.

1922 წელს თბილისში საავტომობილო ბუმის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდა ცნობილი რევოლუციონერი კამო, რომელსაც ველოსიპედით მიმავალს, მანქანა დაეჯახა.

ია კალანდარიშვილი,
დემურ კვირიკაშვილი.

ცნობარი

რა რა არის?

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)

საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციაა, რომლის შემადგენლობაშიც ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, აგრეთვე აშშ და კანადა (სულ 53 სახელმწიფო) შედიან.

ეუთოს მიზანია ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფა, მათ შორის თანამშრომლობის განმტკიცება, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება ან დროული ლიკვიდაცია, ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვა. ამ მიზნით არსებობს უმაღლესი კომისრის თანამდებობა, რომელსაც ევალება დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების მეშვეობით ეთნიკური დაძაბულობის წინასწარი გამოვლენა და აღკვეთა.

ეუთოს ამოცანაა აგრეთვე სათანადო პროექტების შემუშავებითა და რეკომენდაციებით, დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა და განმტკიცება, ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიცირება, გარემოს დაცვა და სხვა.

ეუთო გამოიყენება როგორც დიალოგის, მოლაპარაკებისა და თანამშრომლობის ფორუმი, სადაც ისახება ახალი ღონისძიებები შეიარაღებისა და განიარაღების გასაკონტროლებლად, უშიშროებისა და ნდობის შესანარჩუნებლად, უშიშროების საკითხებში კონსულტაციების სრულყოფისა და რისკის შესამცირებლად.

ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად ეუთოს აქვს სხვადასხვა სტრუქტურები. მათ შორის ცენტრალური და წარმმართველი ორგანო არის — საბჭო, რომლის მიზანია უზრუნველყოს მჭიდრო კავშირი ცალკეულ ღონისძიებათა და ცენტრალურ პოლიტიკურ ამოცანებს შორის. უფროს თანამდებობების პირთა კომიტეტი კი მოქმედებს საბჭოს სესიებს შორის და მისი სახელით იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს. ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, რომელიც მუშაობს საბჭოსა და კომიტეტის სახელით, პასუხს აგებს ორგანიზაციის საქმიანობისათვის.

თავმჯდომარე საბჭოსა და კომიტეტის გადაწყვეტილებებს აცნობებს სხვა ორგანოებს და იძლევა სათანადო რეკომენდაციებს. კონფლიქტების დროს თავმჯდომარეს შეუძლია დანიშნოს თავისი პირადი წარმომადგენელი. მოქმედ თავმჯდომარედ იმ ქვეყნის წარმომადგენელი ინიშნება, სადაც შედგა სახელმწიფოების და მთავრობათა მეთაურების შეხვედრა. მიმოხილვით კონფერენციებს ევალებათ განვლილი პერიოდის მიმოხილვა, გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მდგომარეობის შესწავლა, მომავალი გზების განსაზღვრა, შეხვედრაზე მისაღები დოკუმენტების პროექტების მომზადება. წელიწადში ორჯერ იკრიბება მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა შეხვედრები.

რუბრიკას უძღვება
ბექა ქეჟია.

ლვაწლი

პროფესიონალი

რთულ ტექნიკურ პრობლემებზე მომუშავეთა შორის არც ისე ხშირად გამოჩნდება სპეციალისტი, რომლის ერუდიცია, ალღო, ფანტაზია გადამწყვეტ როლს ასრულებს დარგის შემდგომ განვითარებაში. სწორედ ასეთ სპეციალისტთა რიცხვს მიეკუთვნება რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს, რუსეთისა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ლევან მახვილაძე.

ამ დღეებში ბატონ ლევანს დაბადებიდან სამოცდახუთი, ხოლო საინჟინრო და შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცი წელი შეუსრულდა. ლევან მახვილაძე საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელია. იგი დაიბადა ცნობილი მეტყევისა და პედაგოგის სილოვან მახვილაძის ოჯახში. 1955 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდრომშენებლის სპეციალობით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ჯერ „საქჰიდროენერგომშენის", ხოლო შემდგომ — რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საპროექტო ორგანიზაციებში.

ბატონი ლევანი მრავალპროფილიანი ინჟინერია. 1961 წელს ის გადაჰყავთ რუსთავის „მეტალურგმშენის" სისტემაში უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, შემდგომ სამშენებლო სამმართველო „ტრანსპეცმშენის" უფროსად, რკინაბეტონის კომბინატის დირექტორად, „მეტალურგმშენის" მთავარი ინჟინრის მოადგილედ და რუსთავის სახლთმშენებელი კომბინატის უფროსად. მისი უშუალო და აქტიური მონაწილეობით აშენდა რუსთავის, თბილისის და მადნეულის სამრეწველო და სამოქალაქო კომპლექსების მრავალი ობიექტი.

ინტერესების ფართო სპექტრმა, ყოველივე ახლისა და პროგრესულისადმი მისწრაფებამ, მომადლებულმა ნიჭმა და შრომისმოყვარეობამ განაპირობა მისი, როგორც უმაღლესი რანგის პროფესიონალის ჩამოყალიბება.

პროექტირებისა და სამშენებლო მოედანზე მიღებული გამოცდილების დაგროვებისა და ანალიზის შემდეგ დაიწყო ბატონ ლევან მახვილაძის სამეცნიერო მოღვაწეობა; ამიტომ მისი მრავალი გამოგონება, საკონსტრუქტორო - ტექნოლოგიური თუ სამეცნიერო შრომა კომპლექსურია, მაღალეფექტიანი, სპეციალისტების ცხოველ ინტერესს იწვევს და ფართოდ არის აღიარებული.

ლევან მახვილაძე მეცნიერების უბადლო ორგანიზატორია. მისი უშუალო მონაწილეობით 1977 წელს საქართველოში შეიქმნა მშენინდუსტრიის კომპლექსური განყოფილება, რომელიც საკავშირო მშენებლობის სამინისტროს ექვემდებარებოდა. ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულება იყო ჩვენი რესპუბლიკის მშენინდუსტრიის ქარხნებისათვის, სახლმშენებელი და ხის დამმუშავებელი კომბინატებისათვის რკინა-ბეტონის მექანიკური და ინერტული მასალების საწარმოებისათვის ტექნოლოგიური სამსახურის გაწევა, მათი მოდერნიზაცია. განყოფილება სულ მალე გადაიქცა ჯერ საქართველოს ფილიალად, შემდგომ — საკავშირო სამინისტროს სეისმური რაიონების მშენებლობისა და ქარხნული ტექნოლოგიის პროგრესული სისტემების დამუშავების მოთავე ორგანიზაციად, ბოლოს კი — საქართველოს მშენებლობის სამინისტროს საკონსტრუქტორო - ტექნოლოგიურ ინსტიტუტ „მშენინდუსტრიად".

ამ ორგანიზაციამ, რომელიც თავიდანვე პროგრესულად მოაზროვნე სპეციალისტებით დაკომპლექტდა, ლევან მახვილაძის ხელმძღვანელობით სულ მოკლე დროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

ცხადია, მიღებულ შედეგებში დიდია შრომითი კოლექტივის წილი, მაგრამ არანაკლები, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი მისი ხელმძღვანელის [illegible] ნიჭიერებას, დიდ შრომისუნარიანობას, ნებისყოფას და მიზანსწრაფვას ეკუთვნის.

ჩვენ საშუალება არა გვაქვს ჩამოვთვალოთ ყველაფერი, რაც აკადემიკოს ლევან მახვილაძის ნიჭს, ენერგიასა და შრომისმოყვარეობას მოუცია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლ. მახვილაძის ბევრმა მეცნიერულმა ნაშრომმა მას ფართო აღიარება მოუპოვა. საკმარისია ითქვას, რომ ბატონი ლევანის მონაწილეობით შექმნილმა მსხვილპანელური მრავალსართულიანი სახლების ახალმა სისტემებმა მაღალი შეფასება მიიღეს ოთხ საერთაშორისო კონკურსზე და მრავალ საკავშირო კონფერენციაზე. ჟურნალმა „ნაუკა სსსრ"-მ, რომელიც ერთადერთი იყო ქვეყანაში და რამდენიმე უცხოურ ენაზე გამოდიოდა, 1988 წლის მე-3 ნომერში ვრცელი სტატია მიუძღვნა პროფესორ ლ. მახვილაძის დამსახურებას.

ბევრი სასარგებლო და საჭირო საქმის ინიციატორია ბატონი ლევანი. მის მნიშვნელოვან წამოწყებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს საინჟინრო აკადემიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორია. ამ აკადემიის შექმნით დიდი მნიშვნელობის ეროვნული საქმე გაკეთდა. აღსრულდა ჩვენი მეცნიერების და ინჟინრების დიდი ხნის ჩანაფიქრი. ახლა ბატონი ლევანი საქართველოს საინჟინრო აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტია.

დღეს საქართველოს სჭირდება აქტიური ხალხი, განსაკუთრებით საშურია ტექნიკური ინტელექტუალური პოტენციალის ამოქმედება. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ბატონი ლევან მახვილაძე.

ივერ ფრანგიშვილი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი,
რევაზ ხუროძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი,
მიხეილ ჩხენკელი,
საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრი.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

რედაქციას ხშირად მომართავენ მოქალაქეები მათთვის საინტერესო სხვადასხვა იურიდიული შეკითხვების გასარკვევად. ზოგიერთ ასეთ შეკითხვას უპასუხებს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საფუძვლების კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერი ლორია:

ჩვენი იურიდიული სამსახური

შეკითხვა: *განცხადება შევიტანე განათლების რაიონული განყოფილების გამგის სახელზე სხვა სამუშაოზე გადაყვანის თხოვნით, რაზედაც პასუხი ჯერ არ მიმიღია. გთხოვთ განგვიმარტოთ, რა ვადაში უნდა განიხილონ თანამდებობის პირებმა მოქალაქეთა განცხადებები.*

პეტრე ფეტიაშვილი, ქარელი.

პასუხი: საქართველოს 1993 წლის 24 დეკემბრის კანონის „სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესის შესახებ" მე-14 მუხლის თანახმად, მოქალაქეთა ყველა განცხადება, საჩივარი და მიმართვა განხილულ უნდა იქნეს ათი დღის ვადაში, ხოლო თუ დამატებითი შესწავლას ან შემოწმებას მოითხოვს — ერთი თვის ვადაში. თუ განცხადების, საჩივრისა თუ მიმართვის გამო გადაწყვეტილების გამოსატანად საჭიროა სხვა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება (სპეციალური შემოწმება, დამატებითი მასალების გამოთხოვა და სხვა), სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს უფლება აქვთ გააგრძელონ განხილვის ვადა კიდევ ერთი თვით და ეს წერილობით უნდა აცნობონ მოქალაქეს, რომელმაც აღძრა საჩივარი. განცხადებები, საჩივრები და მიმართვები არასრულწლოვანების, მარტოხელა მოხუცების, ომისა და შრომის ინვალიდების, სამხედრო მოსამსახურეების, საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების წევრების და მათთან გათანაბრებულ პირთა უფლებების დარღვევაზე განხილულ უნდა იქნეს 10 დღის ვადაში.

კითხვა: *ვარ საქართველოს მოქალაქე და მუდმივად ვცხოვრობ ქ. თბილისში, ჩემი მეუღლე პოლონეთის მოქალაქეა, რომელსაც მიმდინარე წლის ივლისში შეეძინება შვილი. იქნება თუ არა ჩვენი შვილი საქართველოს მოქალაქე?*

ბივი სარჯველაძე, ქ. თბილისი.

პასუხი: საქართველოს 1993 წლის 25 მარტის კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" მე-12 მუხლის თანახმად, მშობლების, სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ იგი: ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე, ან ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე. მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ორივე ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით, ხოლო მშობელთა შეუთანხმებლობისას იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა. ამდენად თქვენი შვილი ყველა შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეა.

კითხვა: *ვარ მარტოხელა და მაქვს საკომლო მეურნეობა. ვის დარჩება ეს მეურნეობა ჩემი გარდაცვალების შემდეგ.*

ტარიელ ანდღულაძე, სამტრედია.

პასუხი: საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" მე-7 მუხლის თანახმად, თუ საკომლო მეურნეობა ერთი პირის საკუთრებაა, მას შეუძლია ანდერძით გადასცეს ეს მეურნეობა სხვა პირს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრისათვის გათვალისწინებულ პირობებს და შეასრულოს მესაკუთრისათვის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. ანდერძის არარსებობისას ეს მეურნეობა მემკვიდრეობით გადაეცემა შემდეგი რიგით: 1) სამკვიდროს დამტოვებლის შვილს, თუ საკომლო მეურნეობის მემკვიდრეობით მიღების სურვილს განაცხადებს რამდენიმე მემკვიდრე, უპირატესობა მიენიჭება იმ მემკვიდრეს, რომელიც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად უძღვებოდა საკომლო მეურნეობას და [illegible] — ამ საქმიანობას სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ან სამკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში. მართალია, არ უძღვებოდა მეურნეობას, მაგრამ აქვს გამოცდილება და შესწევს უნარი გაუძღვეს მეურნეობას. თუ ამ რიგის მემკვიდრე რამდენიმეა, უპირატესობა ენიჭება იმას, ვინც სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცხოვრობს ამ საკომლო მეურნეობაში. 2) სამკვიდროს დამტოვებლის მეუღლეს; 3) სამკვიდროს დამტოვებლის მშობლებს, თუ სამკვიდროს დამტოვებელმა საკომლო მეურნეობა მიიღო მშობლებისაგან ან მათი სახსრებით შეიძინა. 4) სამკვიდროს დამტოვებლის ძმას და მათ შვილებს იმ რიგის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი რიგის მემკვიდრეებისათვის (შვილებისათვის).

კითხვა: *ავტოინსპექტორმა არასწორად დამაჯარიმა მოძრაობის წესების დარღვევისათვის. სად შემიძლია გავასაჩივრო?*

ლადო ჩახრუხაძე, ქ. თბილისი.

პასუხი: ნებისმიერი ადმინისტრაციული ჯარიმის გასაჩივრება შეიძლება უშუალოდ სასამართლოში, მოცემულ შემთხვევაში კი აგრეთვე საგზაო პოლიციაში (იხ. საქართველოს ადმინ. სამართალდარღვევათა კოდექსის მუხ. 272).

ყურადღება!!!

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მრავალპროფილიანი ლიცეუმი

აცხადებს მიღებას 9-კლასდამთავრებულთათვის შემდეგ სპეციალობებზე:
სამედიცინო;
იურიდიული;
ეკონომიკური;
უცხო ენები.

ლიცეუმის კურსდამთავრებულები საშუალო სკოლის ატესტატთან ერთად მიიღებენ საბაზისო ცოდნას აღნიშნულ სპეციალობებში. ამასთან, დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტში შესაბამის ფაკულტეტზე ჩაბარებისას მიეცემათ უპირატესობა.

ლიცეუმში პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს ასწავლიან როგორც სკოლის წამყვანი პედაგოგები, ისე უნივერსიტეტის ცნობილი მეცნიერები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ო. ჩახუნაშვილი; ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ვ. დათუკიშვილი; იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ბ.საგანელი; ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აკად. — ზ. ქარხაძიშვილი და სხვები.

სწავლის საფასურია წელიწადში 200 ლარი.
სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.
საბუთები მიიღება ყოველდღე 10-დან 16 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი
ჭავჭავაძის გამზ. 25.
ტელ: 22-21-75; 98-94-45. ან: №57 სკოლაში.
ფალიაშვილის 42. ტელ: 22-31-23.

გახსენება

ნატა მირზაშვილი



ერთი წელი გავიდა რაც შენ ჩვენთან ერთად აღარა ხარ დედიკო და მხოლოდ შენი სურათით ვივსებთ უშენობას. მწუხარება არ ნელდება. შენი სითბო გვაკლია ყველას, შენი ხმის გაგონება გვენატრება. შენს სახელს ისე ვერ ვახსენებთ, რომ თვალზე ცრემლი არ მოგვადგეს. დედა, შენი გარდაცვალება თურმე ბევრმა ვერ გაიგო. გვხვდებიან შენი და ჩემი ნაცნობები, თბილად მოგიკითხავენ — ჩვენი ნატალია როგორ არისო... მერე კი ცრემლიან თვალებს იმშრალებენ. ყველას ვინც კი გიცნობდა ენანები და ენატრები. დღე ისე არ გავა, შენმა შვილიშვილებმა — ნატომ, ანანომ, დათუნამ არ გაგიხსენონ. შენს და მამას საფლავზე ყოველთვის იქნება შენი საყვარელი ყვავილები. შენ ყოველთვის იყავი ერთგული მეუღლე, ძალიან თბილი დედა, მოსიყვარულე და მზრუნველი ბებო, სტუმრის შუბლგახსნით დამხვედრი, ხალისიანი მასპინძელი, კეთილი და გულისხმიერი მეზობელი, ერთგული თანამშრომელი.

ჩვენს გულში და ნაცნობ-მეგობართა ხსოვნაში დიდხანს, დიდხანს იცოცხლებ.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო საყვარელო და და დედიკო.

შენი ნუნუ და შვილები.

ბინები, აგარაკები

იყიდება ოროთახიანი გარემონტებული ბინა, ლოჯით, მეტრო სამგორთან, VIII ლეგიონის დასახლება IX კორპუსი, ბინა 28. ცნობებისათვის დარეკეთ: საღამოს 7 საათიდან 74-20-40. იკითხეთ ციური. ფასი შეთანხმებით.

იყიდება სამოთახიანი არასტანდარტული ბინა ქალაქის ცენტრში. ფურცელაძის 13. საკუთარი სამზარეულოთი, აბაზანით. ტელეფონი 98-49-56 ფოცხვერია, გურგენიძე. ფასი 10000 დოლარი.

იყიდება სამოთახიანი ბინა (25 X 24X12), მაღალჭერიანი, აქვს მიმდები ოთახი 11კვ. მეტ. მანქანის გასაჩერებელი ადგილი, საერთო ეზო, სამსართულიან სახლში პირველ სართულზე, მუდმივად არის წყალი და სინათლე, საკუთარი ტელეფონი 99-75-55. სათავსოთი, მისამართი: სოლოლაკში, გ. ლეონიძის ქ. № 20/8, ყოფილი კიროვის ქუჩა, მსახიობთა სახლის მოპირდაპირედ. დაკავშირება ყოველ დღე 17.00 სთ-ის შემდეგ, შაბათ-კვირის გარდა. იკითხეთ შოთა.

იყიდება სამოთახიანი ბინა ლოჯით. ვაჟა-ფშაველას IV კვარტ. III სართული, II სად. საწყისი ფასი 20000 დოლარი, ჭერის სიმაღლე 260 სმ. ტელ: 30-32-54, 99-05-31, კოტე.

ვაქირავებ ნახევარ სარდაფს, რომლის ფართი 24 კვ. მ. აქვს რკინის კარები, გამავალი მახარაძის ქუჩაზე. დარეკეთ 98-95-02. ლია.

იყიდება ფალიაშვილის ქუჩაზე რიგისა და არაყიშვილის ქუჩებს შორის ოთხოთახიანი ბინა ლოჯით. ოთახები 25X25, 18X16 მ 2, ლოჯი 40 მ2, მაღალი ბელეტაჟით, გარაჟითა და სამი სარდაფით, ფასი 60000 დოლარი. ტელ: 22-29-18, სოსო, 98-57-50 ეკა.

იყიდება ოროთახიანი ბინა ჩაიკოვსკის ქ. № 3 (მეტრო „თავისუფლების მოედანთან"), 42 კვ. მ. ფართი, ეზოდან შესასვლელი, I-ლი სართული, 99-06-40, მარინე (ფასი შეთანხმებით).

ვყიდი საბურთალოზე, სასტუმრო „აჭარის" გვერდით, 5-სართულიანი სახლის მე-2 სართულზე, იზოლირებულ არატიპიურ ერთოთახიან ბინას ლოჯით. საერთო ფართი 45 კვ. მ. ფასი 14000 დოლარი. ტელ: 98-90-55.

ვაქირავებ ოთახნახევრიან, იზოლირებულ ბინას, რკინის კარებით, მცირე ავეჯით, 16-სართულიანი სახლის მე-12 სართულზე დიდ დიღომში, ფასი 70 ლარი. ტელ: 51-53-29 ან 38-64-69.

იყიდება სასწრაფოდ ოთხოთახიანი ბინა დიდ დიღომში, მე-3 მ/რ მე-5 კორპ. მე-9 სართული. აქვს სათავსოები. ფასი 17 000 დოლარი. ტელ: 37-31-71, ლუბა.

იყიდება ოროთახიანი, გარემონტებული ბინა ბორჯომში, სარდაფით, მანქანის სადგომით. ფასი შეთანხმებით.ტელ: 62-03-64 ალექსი, საღამოს 8 საათის შემდეგ.

იყიდება ერთოთახიანი ბინა, 8 სართულიან სახლში ვაჟა ფშაველას გამზირის VI კვარტალი 1 ბ კორპუსში. ბინას აქვს სანტექნიკა, გრძელი აივანი. ტელეფონი, სუფთა ბინაა. ფასი 10 500 დოლარი. ტელ: 30-46-07. ეთერი.

იყიდება ოროთახიანი ბინა ბახტრიონის ქუჩის № 5 კორპუსში, მე-7 სართულზე. ბინას აქვს ტელეფონი, სარდაფი, მანქანის გასაჩერებელი ადგილი. დარეკეთ 93-28-47.

იყიდება 128 კვ. მ. ფართის გარემონტებული ბინა, რომელსაც ოთხი ოთახი აქვს. ბინა არის თექვსმეტსართულიანი სახლის მე-14 სართულზე, დოლიძის ქუჩის დასაწყისში. ფასი 40.000 დოლარი. ტელეფონი: 99-90-66.

ქირავდება პირველ სართულზე 27 კვ. მ. ფართის ორი ოთახი ოფისისათვის ან სხვა კომერციული საქმიანობისათვის. მისამართი: დავით აღმაშენებლის № 171. ტელ: 35-43-84. ალბერტი.

იყიდება რუსთავში ოთხოთახიანი, ჩეხური პროექტის ბინა 9-სართულიანი სახლის მე-9 სართულზე, 21-ე მ. რ. ტელეფონი 73-36-44. ნუნუკა.

სასწრაფოდ იყიდება კერძო, ეზოიანი, კაპიტალური, ერთოთახიანი სახლი ბუხრით, 25 კვ. მ. ფართობით. სახლს აქვს მიშენებული რკინის კარკასი ერთი ოთახისათვის 15 კვ. მ. ფართობით. ეზოს ფართი 1000 კვ. მ. მისამართი: გურამიშვილის გამზირი, 70, ჩიხი № 10, მე-8 საავადმყოფოს გაჩერების მოპირდაპირე მხარეს. ფასი შეთანხმებით. მოგვაკითხეთ 12-დან 18 საათამდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

იყიდება ოთხოთახიანი, იზოლირებული ბინა ბელეტაჟზე. ჭერის სიმაღლე არის 3.80 სმ. აქვს ლოჯი, სარდაფი, ტელეფონი, გარაჟი. ტელ: 95-82-94, ოთარი ან ლამარა.

იყიდება კერძო, ორსართულიანი, იზოლირებული სახლი თავისუფლების მოედანთან ახლოს. საერთო ფართი 180 კვ. მ. აქვს ტელეფონი და ეზო. საწყისი ფასი 33 ათასი დოლარი. ტელ: 37-73-13.

ვყიდი მეტრო „დელისთან" სამოთახიან ბინას ლოჯით, მე-4 სართულზე, კუთხის ბინას, ცხელი წყლით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-13-16.

ვაქირავებ სამოთახიანი ბინის ერთ ოთახს ერთ ან ორ სტუდენტ გოგონაზე. მისამართი: ანაგის ქ. № 28, მე-4 სართ, ბინა 7. ტელ: 37-08-91. ფასი შეთანხმებით.

ვყიდი ოროთახიან, იზოლირებულ ბინას 16 სართულიანი სახლის მე-10 სართულზე. ბინაში არის ტელეფონი. მისამართი: საბურთალო, შავგულიძის №7. დარეკეთ 22-70-66. ელბინო.

ვყიდი საბურთალოს ცენტრში, მეტრო „პოლიტექნიკურთან", სამოთახიან, სტანდარტულ, კუთხის, სუფთა ბინას. ბინა არის 8 სართულიანი სახლის ბელეტაჟზე. აქვს სარდაფი, ტელეფონი, რკინის კარები, გისოსები, პატარა მიწის ნაკვეთი, ლოჯის, სასადილოს და საძინებლის მხარეს ემატება 2 სართული 60-60 კვ. მ. ამოყვანილია რკინის კონსტრუქციები. შეიძლება გაცვლაც ოროთახიან ბინაზე საბურთალოს ან ქალაქის ცენტრში. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი 37-44-43.

ქირავდება უცხოელებზე, ვაკეში, მრგვალ ბაღთან, ოთხოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა ლოჯითა და ორი აივნით. ბინა უზრუნველყოფილია უცხოური ავეჯით, ცხელი წყლით, ელექტროგენერატორით, „აიტ"-ის ანტენით და სხვა. სურვილისამებრ მოემსახურება ინგლისური ენის თარჯიმანი, მზარეული, დამლაგებელი და სხვა. 29-19-38 ან 22-54-69.

იყიდება ახლადგარემონტებული, სამოთახიანი ბინა იოსებიძის ქუჩის № 69-ში. ბინა არის ოთხსართულიანი აგურის სახლის მე-2 სართულზე, ტელეფონით, ცხელი წყლით და მანქანის დასაყენებელი ადგილით. 37-35-00. გულიკო ან მალხაზი.

ვყიდი ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას, ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-4 კვარტალში, მე- 11 კორპუსის მე-2 სართულზე, ტელეფონით. ფასი 10 ათასი დოლარი. დარეკეთ 39-05-95.

იყიდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა დოლიძის ქუჩაზე, 8 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე. ფასი 10.000 დოლარი. დარეკეთ: 34-62-28, ლია.

სასწრაფოდ იყიდება ხუთოთახიანი მშენებარე ბინა ვაკეში, საცურაო აუზთან, საერთო ფართი 250 კვ. მ. აქვს ავტოფარეხი პირველ სართულზე. ბინა დამთავრების სტადიაშია. ტელ: 29-18-57.

ვყიდი სასწრაფოდ ოროთახიან, ჩეხური პროექტის ბინას ქ. ზუგდიდში, ქალაქის ცენტრში. მსურველმა დარეკოს საღამოს საათებში. ტელ: 29-02-12. იკითხეთ ჯემალი ან რუსიკო. ფასი შეთანხმებით.

იყიდება ვერაზე, ლარსის ქუჩაზე, საუკეთესო სახლში, მე-6 სართულზე არასტანდარტული, ოროთახიანი, სამ ოთახად გადაკეთებული, 90 კვ. მ. ფართობის ბინა, დიდი აივნებით და სათავსოებით, მაღალი ჭერით — სიმაღლე 3.20. ფასი 63.000 ლარი. ტელ: 29-06-30, დარეჯანი.

იყიდება ან ქირავდება 300 კვ. მ. ფართობის შენობა, თავისი სარდაფით, რომელიც გამოიყენება ოფისისათვის, სასაწყობო მეურნეობისათვის, აგრეთვე საცხოვრებლადაც. ცნობებისათვის დარეკეთ დღისით 34-19-94, საღამოს 29-31-00, ზურა.

ვყიდი ოროთახიან ბინას ვაზისუბანში, ექსპერიმენტული პროექტით, ტელეფონით, სარდაფით, რკინის კარებით, მანქანის ფარეხით, ოთახის მომატების შანსით. ტელ: 66-92-94 ან 66-79-00.

ვყიდი კერძო სახლს პატარა ეზოთი გაგარინის მოედანზე. ფასი 72000 დოლარი. დარეკეთ 37-55-93.

იყიდება 1,5 ოთახიანი, ახალი გარემონტებული ჩეხური პროექტის ბინა, მეტრო „სამგორის" თავზე, 16 სართულიანი სახლის მე-15 სართულზე. ბინას გვერდით აქვს დიდი სათავსო. ფასი 7000 დოლარი. ტელ: 73-67-45 ან 35-14-03.

იყიდება ფოთში სამოთახიანი, კარგად გარემონტებული ბინა 9 სართ. სახლის მე-4 სართულზე „ვებისის" ტიპის სახლში, საზღვაო პორტის ტერიტორიაზე, ზღვასთან ახლოს. კაპიტალური გარაჟით, ტელეფონით. ცნობებისათვის დარეკეთ: 51-29-23 7 საათის შემდეგ.

ვცვლი სამ ან ორ ოთახიან ბინაში ან გავყიდი ოთხოთახიან ბინას ვაკეში, შატბერაშვილის ქ. №4-ში, შვიდსართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ტელ: 29-06-11.

ვაქირავებ ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას დიღმის მასივში მე-3 კვარტლის მე-2 კორპუსის მე-2 სადარბაზოს მე-12 სართულზე, ბინა №77. არის ლიფტი. დარეკეთ 62-66-66, ნათელა.

იყიდება ოროთახიანი ბინა მეტრო დელისთან ლოჯით, სარდაფით, ტელეფონით. ფასი 40 ათასი დოლარი. ტელ: 39-53-36, ეკა.

იყიდება ორსართულიანი, კაპიტალური შენობა 32 ოთახით, ფართი 1300 კვ. მ. სარდაფებით, რომელთა ფართი 120 კვ. მ. მანქანების დასაყენებელი ადგილებით. ფასი შეთანხმებით. მისამართი: გურამიშვილის გამზირი №8, კინოთეატრ „საქართველოსთან". ტელ: 67-77-55 ან 61-34-63, ირინა.

ვყიდი ოროთახიან ბინას ნუცუბიძის პლატოს მე-4 მ. რ. ცხრასართულიანი სახლის მე-9 სართულზე. ბინა აშენებულია თუხარელის პროექტით. საჭიროებს მცირე რემონტს. აქვს ტელეფონი და რკინის კარები. ტელ: 29-38-88, გივი.

იყიდება ოროთახიანი, პრივატიზებული, იზოლირებული, ულოჯო ბინა მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან". ბინა არის ხუთსართულიანი სახლის მე-3 სართულზე, აქვს ტელეფონი, რკინის კარები, ცხელი წყალი, საკაბელო ტელევიზია, ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-36-32 ან 36-41-23.

ვაქირავებ ოროთახიან ბინას დიღმის მასივში, მე-2 კვარტალი, მე-3 სართული, ფასი 100 დოლარი. 38-02-24, იზოლდა — საღამოს საათებში, 30-41-70 — დღისით.

იყიდება მოსკოვის პროექტის სამ ოთახიანი ბინა ლოჯით, აივნით, სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, მეტრო წერეთლის პროსპექტთან. ფასი 25000" დოლარი. 35-40-40, ლევანი.

ვცვლი წყალტუბოდან თბილისში, პარკიდან მე-3 110 კვ. მ. ფართის ოთხოთახიან ბინას მაღალ ბელეტაჟზე. ბინა მაღალჭერიანია, ქვემოთ აქვს სათავსოები 90 კვ. მ. ბაღი — 1200 კვ. მ. ფართობისა, არის კომერციული ჩეხური ტელეფონი, დარეკეთ თბილისში 34-76-53 ან წყალტუბოში დედაენის №11, ბინა 13, ტელ: 2-38-52.

იყიდება საკუთარი სახლი ვაკეში ეზოთი, 1200 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. თამარაშენის შესახვევი №8, ფასი შეთანხმებით, 23-11-86, ნანა.

იყიდება ერთოთახიანი ბინა ტელეფონით, ავეჯით 8 სართულიანის სახლის მე-3 სართულზე, კინოთეატრ „საქართველოსთან". ფასი შეთანხმებით 61-85-60.

იყიდება ოთახნახევრიანი ბინა 8 სართულიანი სახლის პირველ სართულზე, მიშენების პერსპექტივით, საგარაჟე ადგილით. ფასი შეთანხმებით. 61-85-60.

ვყიდით ოროთახიან ბინას ნუცუბიძის მე-3 მ. რ. მე-4 კვარტლის მეორე კორპუსში, №79. ბინას აქვს ტელეფონი. ფასი 9300 დოლარი. ტელ: 98-74-77 ლუიზა ან ლელა.

ვყიდი საკუთარ სამოთახიან ბინას პატარა ეზოთი. მისამართი: კვანტალიანის ქ. №114. ფასი შეთანხმებით.

ვყიდი ერთოთახნახევრიან, იზოლირებულ ბინას 29 კვ. მ. ფართით. ბინას აქვს ლოჯი — 32 კვ. მ. მიშენების პერსპექტივით. ნუცუბიძის მე-2 მ. რ. მე-10 კორპუსი, მე-7 სართული, 25 ბინა. ფასი შეთანხმებით. იკითხეთ აქსანა ალექსანდროვა.

ვცვლი სამოთახიან, იზოლირებულ, არატიპიურ ბინას ერთ და ერთოთახნახევრიან ბინებზე. ბინა არის 51 კვ. მ. ფართით, დიდი სამზარეულოთი, ტელეფონით, სარდაფით, მეტრო ვარკეთილთან ახლოს. ბინას აქვს მიშენების პერსპექტივა მე-8 ლეგიონის ტერიტორიაზე. დარეკეთ 78-09-66.

ვაქირავებ ოთახნახევრიან, იზოლირებულ ბინას, დიდ დიღომში, თექვსმეტ სართულიანი სახლის მე-12 სართულზე, ავეჯით, რკინის კარებით. ფასი შეთანხმებით: ტელ: 99-89-74, ლიკა ან 51-53-29, მედეა.

იყიდება შუაწყნეთში ორსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე ოთახნახევრიანი, პრივატიზებული, იზოლირებული, ნათელი კუთხის ბინა მიშენების პერსპექტივით. ბინის საერთო ფართია 45 კვ. მ. იგივე ფართი სარდაფის პერსპექტივით, ტელეფონით, საბოსტნე და ავტოსადგომის ადგილებით. ფასი 12 500 დოლარი. ტელ: 29-86-55 ან 73-78-90.

სხვადასხვა

[illegible]
ნარეული, იმპორტული კალ
[illegible] და „ფლეშ" იმპორ
სასადილო მაგიდა ოთხ
მით. დარეკეთ 31-25-01. იკით

იყიდება უჟანგავი ფოლად
ლიტრი ტევადობის საცავი. ფა
ლარი, 2000 ლიტრის ტევადო
ღირს 700 ლარი. ტელ: 71-
იკითხეთ სერგო.

იყიდება შვიდაკვნიანი გამ
დის ტიპის თონე, ორი ქვაბ
ზელით და ყველა სხვა მოწყო
ბით. ფასი 3000 ლარი. ტელ:
96, სერგო.

ვყიდით წიგნების კარა
რვანდს, ფასი 300 ლარი, „
ტარს" — დასახური საწერი
თავისი თაროებით — 300 ლა
ფლის „დსპ"-გან დამზადებულ
ურ კამოდს, ანტრესოლის ზომ
2:1,55 სმ. 250 ლარი, ხელის
მანქანა „ზინგერს" — 150 ლარი
კეთ ტელ: 36-10-52 ან 98-39-4

იყიდება ახალი ჩეხური სა
(ბავშვის) 5 წლამდე. საწოლ
უჯრა. ფასი შეთანხმებით. ტე
52-82, მანანა.

ქირავდება პავილიონი სარდ
კვ. მ. ფართით, მეტრო „წერეთ
ქუთაისის ქ. 33. ტელ: 37-28-52

ვამზადებ ინგლისურ ენაშ
ძლებელია ბინაზე მისვლაც. ტე
33-51, დარეჯანი.

ვაქირავებ კაპიტალურად
„ავტოფარეხს", რკინის კარ
ტუზოვის ქუჩის № 1-ში. ტე
58-17, ქეთინო.

ვყიდი გერმანულ, შეფუთ
ძინებელ გარნიტურს „ტრიბ
სი 1500 დოლარი. ტელ: 73-
ციური.

იყიდება „როკოკოს" სტ
ტიკვარული სასტუმრო — ფა
დოლარი, კედელზე ჩამოსაკიდ
ლური „როკოკოს" სტილის
ვარული სარკე. ფასი 400 დო
ტელ: 22-31-30.

იყიდება წიგნის 10 თარო
და რუმინული სასადილო
ტა". ფასი შეთანხმებით. 31-7

იყიდება ბილიარდი ზომით
მტ. ფასი 600 ლარი. მისამართ
თაჭელა, ავტოვაგზლის პირდ
ლაზია „კულტსაქონელი". ტე
71-29, მამულაშვილი ანდრო

ვყიდი შესადუღებელ აპ
რატს, რომელიც საქარხნო
ვებისაა. მუშაობს როგორც
დენზე, ასევე მუდმივ დენზე
ახლავს სათანადო ინსტრ
ტელ: 67-77-55, მზია.

იყიდება პერიოდული პრი
არმატურა №18, ერთი მეტრ
70 თეთრი. ტელ: 98-56-10 -
სით, 23-38-34 საღამოს.

იყიდება მამაკაცის წინდებ
სოვი დაზგები, ფასი შეთან
34-62-28.

ვყიდი ორპედლიან პიანინ
ტროფს" კარგ მდგომარეობაშ
სი 1000 ლარი. 74-37-08,

იყიდება პრივატიზებული,
ბილი 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთ
პროექტით, ლელუბანში, ცხვ
აში არ მისული, გლდანიდან
ფასი შეთანხმებით. ტელ: 71-
71-37-74 ან 71-86-19 ზურაბ

იყიდება საოჯახო, სამკერ
„ტრენაჟორი" ველოსიპედი „
ვიე", კარგ მუშა მდგომარეო
სტანდარტული ზომის და
რებადი სიმაღლის. ფასი 240
ტელ: 51-53-29, 2 საათიდან

ავტომანქანებ



იყიდება საგზაო ავტომანქანა
ზი" 17-ადგილიანი, გამოშვებულ
წელს. საწყისი ფასია 1400 დ
ტელ: 34-36-29. ნოდარი ან გუ

იყიდება თეთრი ფერის ავტ
ნა „ვაზ — 21-011", 1975 წლ
ვება. მანქანა მუშა მდგომ
ფასი 1200 ლარი. ტელ: 71-5

ვყიდი სამშენებლო აგუ
ნგრადის წარმოების მოსა
ბელი გვერდით 20 000 ცალ
ნობით. არმატურა მე-10
22-25 მმ. ერთი ტონა. ფასი
ხმებით, იკითხეთ იური ტ. 35-

შევიძენ ავტომანქანა ნივას 199
შემდეგ გამოშვებულს, შეღავა
სში. ტელ: 36-17-99 ან 35-83-

იყიდება ტრაქტორი „ტ-40
ლი დიზელის ძრავი. ტელ: 38

იყიდება უხმარი ავტომ
„გაზ-66". ტელ: 38-17-99

ყიდვა-გაყიდვის,
ცვლის, გაქირავებ
სახის განცხადებებ
მოქვეყნების მსურვე
ბმა დაგვირეკეთ:
ტელ: 99-73-2